პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 38-ე წელი
№ 182 (11186)
შაბათი, 9 აგვისტო, 1958 წ.
ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის (მოწინავე 1-ლი გვერდი).

ჩინეთის კავშირგაბმულობის მუშაკები თბილისში (1-ლი გვერდი).

ა. სულაქველიძე. — ქუთაისელ მშენებელთა მიღწევები და ნაკლოვანებები (1-ლი გვერდი).

მშენებლის საკავშირო დღის შესახვედრად — კალატოზი იბრაიმ კახიძე (1-ლი გვერდი).

ვ. ხანიკიძე. — მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა (მე-2 და მე-3 გვერდი).

მ. თვარაძე — იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის (მე-2 გვერდი).

ხ. თიბილოვი. — ადგილობრივი საბჭოები ახალ პირობებში (მე-2 გვერდი).

კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის — საშუალო სკოლიდან მოსულებმა თავი ისახელეს; ვალდებულებებს ანალიზებენ (მე-2 გვერდი).

გ. ზაქარაია. — [illegible] (მე-3 გვერდი).

ბ. ჩხეიძე. — [illegible] საფუძვლები და მისი თანამედროვე მნიშვნელობა (მე-3 გვერდი).

ძვირფასი ისტორიული ძეგლი (მე-3 გვერდი).

უცხოეთისა და სპორტული ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ფართოდ გავაჩაღოთ ბრძოლა ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის

საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის კვალდაკვალ დიდი ძვრებია მრეწველობის განვითარებაში, მის ყველა დარგში. თვითეულ უბანზე მოპოვებული დიდი გამარჯვებები ნათლად მეტყველებენ მართვის გარდაქმნის შესანიშნავ შედეგებს, რაც ერთ წელზე მეტია განხორციელდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით. ახალ პირობებში შეიქმნა განუსაზღვრელი შესაძლებლობანი ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, ყველა მშრომელის შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ განვითარებისათვის.

მშრომელთა ინიციატივის მჩქეფარე მდინარებაში დაიბადა და ქვეყანაში ფართოდ ვითარდება ახალი პატრიოტული მოძრაობა —შეჯიბრება პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, საშუალებებისა და მატერიალური რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენებისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ახალი მოძრაობის ერთ-ერთ წამომწყებად ითვლება დონბასელ მეშახტეთა ბრიგადა, რომელსაც ალექსანდრე კოლჩიკი მეთაურობს. დეტალურად შეისწავლეს რა მდგომარეობა თავის უბანზე, ნოვატორმა მეშახტეებმა გადაწყვიტეს თვითეულ ტონა მოპოვებულ ქვანახშირზე გაეწიათ ერთი მანეთის ეკონომია. ეს გადაწყვეტილება მალე სინამდვილედ იქცა: სამი თვის განმავლობაში მოწინავე ბრიგადის უბანზე ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 2 მანეთით და 70 კაპიკით შემცირდა.

ახალი პატრიოტული მოძრაობა გასცდა დონბასს, იგი გადაიქცა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მოძრაობად.

დონბასელ მეშახტეებს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდათ ჩვენს რესპუბლიკაში. ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლაში წარმატებას აღწევენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტში. აქ ყველა უბანში შეიმუშავეს ეკონომიის გეგმა. მეშახტეები ახანგრძლივებენ მექანიზმების მუშაობის ვადას, განმეორებით იყენებენ ხის სამაგრ მასალას, წარმოებაში ნერგავენ ახალ სამთო მანქანებს. ქვანახშირის თვითღირებულების შემცირებისათვის გაჩაღებულმა შეჯიბრებამ უკვე გამოიღო დადებითი შედეგი. ტონა სათბობი ახლა 4 მანეთით და 57 კაპიკით იაფია გეგმასთან შედარებით. წელს ექვს თვეში თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 600 ათას მანეთზე მეტი ეკონომია.

ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის მოძრაობამ მხარდაჭერა ჰპოვა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეშახტეთა შორის. ამას წინათ აქ შეაჯამეს ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები. ქვანახშირის მომპოვებელ ერთ-ერთ მსხვილ საწარმოში — № 2 შახტში ექვსი საექსპლოატაციო უბნიდან ოთხ უბანში ყოველი ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულ იქნა ორიდან ოთხ მანეთამდე. დადებით შედეგებს მიაღწიეს № 4 და № 5 შახტებშიც. № 5 შახტში ტონა ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია გეგმასთან შეფარდებით 1 მანეთით და 66 კაპიკით. პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებისათვის იბრძვიან ქვანახშირის გამამდიდრებლებიც.

შეჯიბრება ყოველდღე მდიდრდება ახალი ძვირფასი გამოცდილებით. საუკეთესო თაოსნობა გამოიჩინეს რუსთავის ახალგაზრდა მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა, მეცემენტეებმა, მშენებლებმა. მათ გადაწყვიტეს მოაწყონ ბრძოლა საწარმოებში ლითონის ეკონომიურად ხარჯვისა და არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის. ამ მიზნით მოეწყო რეიდი, რისთვისაც შექმნილ იქნა 82 „მსუბუქი კავალერიის“ რაზმი და ბრიგადა.

ახალგაზრდებმა შეამჩნიეს, რომ ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში არ იყენებდნენ ალუმინის ფხვნილს, რომელიც საწყობში დიდი რაოდენობით იყო. ეს საკითხი ახალგაზრდებმა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანეს, დაუმტკიცეს საამქროს ხელმძღვანელებს, რომ ალუმინის ფხვნილის გამოყენებით დიდძალ ეკონომიას გააკეთებდნენ. ახალგაზრდების რჩევა მართლაც სასარგებლო გამოდგა. მისი განხორციელების შედეგად ქარხანა ყოველ თვეში 50 ათასი მანეთის ეკონომიას აღწევს.

მაგრამ ფაქტები ცხადყოფენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ყველგან როდი იჩენენ საჭირო ყურადღებასა და ინტერესს ეკონომიისა და მომჭირნეობისადმი. სახალხო მეურნეობის ცალკეულ უბნებზე, ზოგიერთ საწარმოში გაიაფების ნაცვლად ვხვდებით პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებას, მასალებისა და სახსრების გადახარჯვას, რაც ძირითადად გამოწვეულია შრომის ცუდი ორგანიზაციით, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვისათვის ნაკლებ ზრუნვით, წარმოებაში გაუმჯობესებათა შეტანისადმი უყურადღებობით. ბევრგან დღემდე ვერ შეუგნიათ, რომ პროდუქციის ერთეულზე დაზოგილი თვითეული მანეთი საბოლოოდ შეადგენს დიდ თანხას, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ახალ აღმავლობას მოხმარდება.

ბევრი გამოუყენებელი რეზერვია მშენებლობაში. საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ძვირი ჯდება თვითეული კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჩვენმა მშენებლებმა უნდა მიბაძონ ქალაქ კიევის სამშენებლო ტრესტის „კიევჟილსტროის“ კოლექტივს, რომელმაც გამოიჩინა ძვირფასი თაოსნობა — ვალდებულება აიღო წელს თვითეული კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის თვითღირებულება შეამციროს 185 მანეთით.

შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, სახსრებისა და მასალების ეკონომიისათვის მასობრივი მოძრაობის გაშლის შესაძლებლობა არსებობს ყველა საწარმოში, მშენებლობაზე, სახალხო მეურნეობის თვითეულ უბანზე. სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან დაუღალავად იზრუნონ იმისათვის, რომ ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მშრომელთა ფართო მასები, რომ აღებული ვალდებულებანი ყველგან სასახელოდ სრულდებოდეს.

სურათზე: ჩინელი სტუმრების შეხვედრა თბილისის აეროდრომზე.
ფოტო ვ. გინზბურგისა.

* * *

ჩინეთის კავშირგაბმულობის მუშაკები თბილისში

8 აგვისტოს თბილისს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფოსტისა და ტელეგრაფის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია. დელეგაცია საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი ჯუ სიუეფანი, შედიან მინისტრის მოადგილე ჩენ გუანი, სამინისტროს მთავარ სამმართველოთა უფროსები ე იუნ-ჯანი, ლი იუი-კუეი, ლინ ჩინი, პეკინის კავშირგაბმულობის ინსტიტუტის დირექტორი მინ გუი-მინი, პროვინციულ სამმართველოთა უფროსები, ფოსტისა და ტელეგრაფის დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები.

თბილისის აეროპორტში ჩინელ კავშირგაბმულობის მუშაკებს შეხვდნენ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს, საქართველოს რადიო და ტელევიზიის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები. პიონერებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილთა თაიგულები.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში მგზავრობის დროს მისი თანმხლებნი სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე ვ. ნ. ლებედევი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის სამმართველოს უფროსი დ. დ. ერიგინი, აგრეთვე საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი გ. ა. ქრისტესაშვილი, რომელიც დელეგაციას სოხუმში შეხვდა.

დელეგაცია გაეცნობს საქართველოს კავშირგაბმულობის ორგანოთა და დაწესებულებათა მუშაობას, ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებას. (საქტესი).

უკრაინამ ვადამდე შეასრულა პურის დამზადების გეგმა

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ვადამდე, 5 აგვისტოს 103 პროცენტით შეასრულეს პურის შესყიდვისა და ჩაბარების (სიმინდს გარდა) სახელმწიფო გეგმა. დამამზადებელმა პუნქტებმა მიიღეს 414 მილიონი ფუთი პური, აქედან 350 მილიონ ფუთზე მეტი ხორბალი.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს გეგმის გადამეტებით გაყიდონ 75 მილიონი ფუთი პური. სულ სიმინდთან ერთად სახელმწიფო მიიღებს 525 მილიონ ფუთ პურს — 87 მილიონი ფუთით მეტს, ვიდრე შარშან.

თავთავიანი კულტურების აღება განხორციელდა 10-12 დღეში. ამას ხელი შეუწყო მოსავლის ცალცალკე აღების წესის ფართოდ გამოყენებამ. ბევრ ოლქში ცალცალკე აღებულია პურის 70-80 პროცენტი. ამით თავიდან აცილებულია დანაკარგები, შენარჩუნებულია მილიონობით ფუთი მარცვალი და უზრუნველყოფილია პურის დამზადების მაღალი ტემპი. (საქტესი).

მშენებლის საკავშირო დღის შესახვედრად

კალატოზი იბრაიმ კახიძე

იბრაიმ კახიძე ბათუმის ციტრუსკომბინატის სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე ვნახეთ. როცა გაიგო, მასთან რომ ვიყავით მისული, ბოდიშით გვითხრა, ცოტა მოითმინეთ, დამზადებული ხსნარი თუ არ გავიხმარე, გაქვავდება და გვეზარალებაო, და მუშაობა განაგრძო.

სახელმოხვეჭილმა ბათუმელმა კალატოზმა იბრაიმ კახიძემ კარგად იცის დროის ფასი. მას სამუშაოზე უქმად ერთ წუთსაც ვერ ნახავთ. ქაფჩით კედელზე ხსნარს ასწორებს ან ტუფის ქვას თუ აგურს აწყობს, ხსნარით კედლის ნაკერავს ლესავს. ყოველი მისი მოძრაობა ზუსტი და გაანგარიშებულია.

დავინტერესდით, როგორ გახდა იბრაიმ კახიძე ბათუმის ერთ-ერთი საუკეთესო მშენებელი. ბათუმში 1948 წელს ჩამოვედი, — გვიამბო მან, — და ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში დავიწყე მუშაობა. მაგრამ გულით მინდოდა კალატოზი გავმხდარიყავი. ერთხელ გაზეთში წავიკითხე, რომ ტრესტ „ბათუმქალაქმშენს“ სჭირდებოდა კალატოზები, მეარმატურეები, დურგლები და სხვა პროფესიის მუშები. მეორე დღესვე ტრესტში გამოვცხადდი და მუშად დავიწყე მუშაობა. მალე კალატოზის დამხმარედ გადამიყვანეს, ხოლო რამდენიმე თვეში თანრიგიც მივიღე.

მას შემდეგ კაპნისთაველ კოლმეურნეს იბრაიმ კახიძეს არჩეული პროფესიისათვის აღარ უღალატნია. იგი როგორც მშენებელი დღითიდღე იზრდებოდა და ოსტატდებოდა, ახლა კი მეექვსე თანრიგის კალატოზია და ბრიგადას ხელმძღვანელობს.

ბათუმში თითქმის არ არის ამ პერიოდში აგებული ისეთი შენობა, რომლის მშენებლობაშიც იბრაიმს წვლილი არ მიუძღოდეს. მაგრამ შენებაც არის და შენებაც. კალატოზი იბრაიმ კახიძე მშენებელთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლის სახელსაც ახალ სახლში შესახლებული მობინადრე ქებითა და პატივისცემით იხსენიებს.

ი. კახიძე მარტო კარგი კალატოზი როდია. იგი ამავე დროს ახალგაზრდა მშენებელთა მოამაგე და ჩინებული მასწავლებელია. ამ ათიოდე წლის განმავლობაში მას ათობით კალატოზი აღუზრდია, რომლებიც სახახელო შრომით მხარს უმშვენებენ მოწინავე მშენებელს. წელს მან ორ ახალგაზრდას შეასწავლა კალატოზის რთული პროფესია. საგულისხმოა, რომ ორივე ჭაბუკი — მაწყვალთელი დავით ხაგინაძე და მოფინეთელი ვეზირ ბერიძე აჭარის მაღალმთიანი — ხულოსა და შუახევის რაიონებიდან არიან ჩამოსულნი. წელს მოწინავე მშენებელი კიდევ სამ ახალგაზრდა კალატოზს შეჰმატებს მშობლიურ ქალაქს.

ი. კახიძე.

ზღვისპირა ქალაქი ბათუმი ასე ლამაზი და თვალწარმტაცი რომ არის, ამაში წვლილი მიუძღვით ი. კახიძეს და მასავით მოწინავე მშენებლებს — კალატოზ ბ. დრუენევს, ხუროებს ი. ბაციკაძეს და ა. გურგენიძეს, მებულდოზერეებს ხ. ჩხარტიშვილსა და ა. დიასამიძეს, მებეტონეებს მ. მილიაევასა და ი. პახანოვს, მეარმატურე ნ. რუდაკოვს, მებათქაშე დ. აბაშიძეს და სხვებს. მშენებელთა ნაყოფიერი შრომის შედეგია ის, რომ № 5 სამშენებლო ტრესტი ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენს რესპუბლიკაში.

— აშენო კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხისათვის — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საპატიო საქმე, — ამბობს იბრაიმ კახიძე.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბათუმის მშრომელთა დელეგაცია კიროვაკანს გაემგზავრა

ბათუმი. (საკ. კორ.). სომხეთის ქალაქ კიროვაკანს გაემგზავრა ქალაქ ბათუმის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების ჯგუფი, რომელშიც შედიან ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. შენგელია, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე გ. მაზმანიშვილი, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ბ. ოვსეპიანი, მანქანათსამშენებლო ქარხნის ზეინკალთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი ს. პოვერინოვი, ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა ლ. ბეჟანიძე და სხვები.

ბათუმლები კიროვაკანში 10 დღეს დაჰყოფენ, გაეცნობიან მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობას, შეაჯამებენ ამ ორი ქალაქის მშრომელთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგებს და ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის თავიანთ გამოცდილებას.

ქუთაისელ მშენებელთა მიღწევები და ნაკლოვანებები

მეოთხე სამშენებლო ტრესტის (ქუთაისი) ობიექტებზე თავდადებული შრომაა გაჩაღებული მშენებლის საკავშირო დღის ღირსეულად შეხვედრისათვის. ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციებმა სამშენებლო სამუშაოთა 6 თვის გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ბინათმშენებლობაში. გეგმით გათვალისწინებული 1.500 კვადრატული მეტრის ნაცვლად საექსპლოატაციოდ გადაცემულია 5.028 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს წარმატებები მიღწეულია მეოთხე სამშენებლო ტრესტის კოლექტივის დაძაბული, ნაყოფიერი მუშაობით, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების, მიწის, ბეტონისა და სხვა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დანერგვის საფუძველზე.

წელს საგრძნობლად გადიდდა ასაწყობი ხისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოშვება. ახლა სამშენებლო ობიექტები გაცილებით უკეთ მარაგდებიან ამ პროდუქციით. თუ წინათ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებს მხოლოდ სართულთაშორისი გადახურვისათვის ვხმარობდით, ახლა მათ ვიყენებთ აგრეთვე კიბის საქცევების, მოედნების, სვეტების, ჩალანგარების მშენებლობაზე. 6 თვეში დამზადებულია 1.000 კუბმეტრით მეტი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები, ვიდრე მთლიანად 1956 წლის განმავლობაში. ამის შესაბამისად გაიზარდა ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენების ხვედრითი წონა ყოველი 1 მილიონი მანეთის ღირებულების შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოზე. თუ 1956 წელს ყოველი მილიონი მანეთის ღირებულების შესრულებულ სამუშაოზე 61 კუბმეტრი ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები მოდიოდა, წელს 6 თვეში ეს რაოდენობა 138 კუბმეტრამდე გაიზარდა. ახლახან შევუდექით პირველი მსხვილბლოკებიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების, შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის დანერგვით მივაღწიეთ მუშახელის მნიშვნელოვან ეკონომიას და მშენებლობის გაიაფებას. თუ 1956 წელს ყოველი მილიონი მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე დასაქმებული იყო 31 მუშა, ხოლო 1957 წელს — 28, წელს ამავე მოცულობის სამუშაოზე უკვე 25 მუშა გვჭირდება.

კარგია, აქ წერტილის დასმა რომ შეიძლებოდეს, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ მშენებლები ისე ვერ ვმუშაობთ, როგორც ამას ჩვენგან მოითხოვენ. ყველაზე მეტად გვაკლია სამშენებლო საქმის კულტურა და ორგანიზებულობა.

ამის მიზეზია ის, რომ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები სათანადოდ არ ზრუნავენ კადრების იდეური მომზადების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ამიტომ ბევრ მათგანს აკლია მუშაობის ტემპის, გემოვნებისა და მომჭირნეობის გრძნობა, ხოლო უამისოდ შეუძლებელია ვაშენოთ იაფად, სწრაფად და მაღალხარისხოვნად.

ტრესტის სამშენებლო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი გატაცებულია მშენებლობის საერთო გეგმის შესრულებით და ნაკლებ ყურადღებას აქცევს დავალების განაღდებას ცალკეული სამშენებლო ობიექტების მიხედვით. მაგალითად, № 1 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ო. ბიბილეიშვილი) წლის პირველი ნახევრის საერთო პროგრამის 128 პროცენტის შესრულების პირობებში, დავალება 11 ობიექტიდან მხოლოდ 4 ობიექტზე შეასრულა. ჩამორჩა ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიც არის საქენერგოს საცხოვრებელი სახლის, ავტოქარხნის პანსიონატის, საკონსერვო ქარხნის საცხოვრებელი სახლის და სხვათა მშენებლობა. № 2 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ვ. ლორთქიფანიძე) დავალებას 13 ობიექტიდან მხოლოდ 4 ობიექტზე ასრულებს. ჩამორჩება სანატორიუმების, საზაფხულო საბაზანოს, სასაწყობო ბაზის მშენებლობა წყალტუბოში. № 4 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი გ. კუპრეიშვილი) 13 ობიექტიდან გეგმა მხოლოდ 9-ზე აქვს შესრულებული. ეს იმას მოწმობს, რომ სახელმწიფო დისციპლინა სამშენებლო პროგრამის შესრულებაში ჩვენთან ძალიან მოიკოჭლებს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ ტრესტის სამშენებლო ობიექტები ვერ უზრუნველყო ხე-ტყის მასალით, ლითონით, ცემენტით. შეფერხებები მომარაგების მხრივ ამჟამადაც მწვავედ იგრძნობა.

აჯამებს რა განვლილი მუშაობის შედეგებს მშენებლის საკავშირო დღისათვის, მეოთხე სამშენებლო ტრესტის კოლექტივი ენერგიულად იბრძოლებს იმისათვის, რომ უმოკლეს დროში აღმოფხვრას თავის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი, რომელიც ამას წინათ გადაეცა საექსპლოატაციოდ.
ფოტო ა. ჩარკვიანისა.

ა. სულაქველიძე,
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეოთხე სამშენებლო ტრესტის საგეგმო განყოფილების უფროსი.

თბილისის 1500 წლისთავისათვის

თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივი ახლო მომავალში გამოუშვებს ელმავალს „კომკავშირის XIII ყრილობა".

სურათზე: საპარატო საამქროს ამწყობი ზეინკლები კომკავშირელები ა. ჭაფარაშვილი და ვ. ვეფხვაძე, რომლებიც გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 300 პროცენტით ასრულებენ, აწყობენ ახალი ელმავლის პნევმატურ კონტაქტორებს. ფოტო ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

იბრძვიან შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის

მნიშვნელოვან საწარმოო წარმატებებს აღწევს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივი, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია მოძმე ლატვიის დედაქალაქ რიგის საფეიქრო საწარმოებთან. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ეკონომიური მაჩვენებლებით თბილისელი მეტრიკოტაჟეები მოწინავეთა რიგებში არიან.

კომბინატის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება თბილისის 1.500 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით გამოუშვას 3.615 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, 115 ტონა ნართი და 80.000 წყვილი ქალის წინდა, გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, დაზოგოს ელექტროენერგია და ნედლეული.

მეტრიკოტაჟეები თავიდანვე ენერგიულად შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. განვლილ 6 თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 106,9 პროცენტით გაანაღდეს და დავალების გადამეტებით 2.905.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. კომბინატის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით 102 ტონა ცალწვერა ნართი დაამზადა. უმთავრესად დაზოგილი კაპრონის ნართით მოქსოვა 56.310 წყვილით მეტი ქალის წინდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. საყურადღებო წინსვლა იგრძნობა შრომის ნაყოფიერების ზრდაში. წელს 6 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გადიდდა 5,6 პროცენტით. ამას ხელი შეუწყო მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებამ. კომბინატში ფართოდ დანერგეს ბრიგადირ ლ. აბრამოვას მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თითისტარზე ნართის დახვევა წარმოებს მანქანის ტრიალის ძალის გამოყენებით. ეს იძლევა დროის დიდ ეკონომიას და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. ლ. აბრამოვას მეთოდი ყველა მუშას შეასწავლეს.

კომბინატის ხელმძღვანელებმა გააძლიერეს ზრუნვა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ჩამოყალიბებულია მოწინავე მეთოდების შემსწავლელი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი, საწარმოო-ტექნიკური კურსები, უკვე მომზადებულია 214 კაცი. 133 ახალმიღებული მუშა დაეუფლა სატრიკოტაჟო წარმოების სხვადასხვა სპეციალობას.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა აგრეთვე მანქანების წარმადობის გასადიდებლად. მაგალითად, მოახდინეს საჩეჩი მანქანების მიმღები დოლების რეკონსტრუქცია, აგრეთვე საგრეხი მანქანის მასრებზე დაახვიეს გაცილებით მეტი ნართი, ვიდრე წინათ ახვევდნენ. ამან შეამცირა მასრებზე ახალი ძაფის დახვევის ოპერაციის დრო. საგრეხ საამქროში საწნეხ მანქანაზე მოწყობილი ხელის წნეხი შეიცვალა მექანიკური წნეხით.

გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. წუნმდებლები, ინსტრუქტორები, მწონავები, მზეთავები, ზეინკლები და ქვეოსტატები — სულ 50 კაცი, რომლებიც წინათ წარმოებაში საკმაოდ არ იყვნენ დატვირთული, გადაყვანილ იქნენ დაზგებზე სამუშაოდ.

შრომის მისაბაძ მაგალითს იძლევა ბრიგადა, რომელსაც ი. შარაშენიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადაში გაერთიანებული 20 მუშა სისტემატურად საუკეთესო ხარისხის პროდუქციას იძლევა და დიდძალ ნედლეულს ზოგავს.

მ. თვარაძე.

საბჭოთა მშენებლობა

ადგილობრივი საბჭოები ახალ პირობებში

ს. თიბილოვი,

სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებამ „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ" ახალი, ისტორიული მნიშვნელობის ამოცანები დააყენა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე. სოფლის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამ გადაწყვეტილებაში ხედავენ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდეს ზრუნვას მშრომელი ადამიანებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაცია განხორციელდა, მაგრამ ამ მცირე დროშიც კი ნათელი გახდა, თუ რა შეწყობილად, უკეთესად მუშაობს მრეწველობის ყველა დარგი, რა უკეთ მიდის მშენებლობის საქმე ახალ პირობებში. შარშან ოლქის მრეწველობამ 10 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია სულ ახლახან განხორციელდა და მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების მაგალითითაც ნათლად ჩანს ამ ღონისძიების სიცოცხლისუნარიანობა, ძალა და სისწორე.

სამხრეთ ოსეთში ამ დადგენილების შესასრულებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა. კოლმეურნეობებს მიეყიდათ 100-მდე ტრაქტორი, 13 კომბაინი, 6 სალეწი და მრავალი ათასი მანეთის სხვა იარაღ-მანქანები. ტექნიკა არ მიეყიდათ მხოლოდ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც მთის ზონაში მდებარეობენ და რელიეფის პირობების გამო საშუალება არა აქვთ მაღალი წარმადობით გამოიყენონ მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მაგრამ ამ კოლმეურნეობებს დახმარებას გაუწევს 3 სარემონტო-ტექნიკური სადგური, რომლებიც რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა.

უკანასკნელ წლებში დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი კოლმეურნეობების ცხოვრებაში. პარტიისა და მთავრობის დახმარებით ოლქში ყოველწლიურად იზრდება მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, შემოსავლიანი ხდება საარტელო მეურნეობის მთელი რიგი დარგები. თუ 1952 წელს მხოლოდ ორი-სამი კოლმეურნეობა იყო მილიონერი, ახლა სამხრეთ ოსეთში მათი რიცხვი ათობით ითვლება.

უნდა აღინიშნოს ის დიდი როლი, რომელიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა შეასრულეს ჩვენი სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში. როდესაც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კოლმეურნეობებისათვის მიყიდვაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ მტს-ების დამსახურება მექანიზატორებისა და საკოლმეურნეო კადრების აღზრდის საქმეში. ამჟამად ოლქის კოლმეურნეობებს მტს-ებიდან დაუბრუნდა 200-ზე მეტი მექანიზატორი, რომელთა დიდი უმრავლესობა შესანიშნავად ფლობს თავის პროფესიას და მაღალნაყოფიერად შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებზე.

ახალი პირობები, ახალი ვითარება შეიქმნა სოფლად საბჭოების მუშაობისათვის. ცვლილებანი, რომლებიც სოფლად ხორციელდება, მოითხოვს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გარდაქმნას, სოფლის მეურნეობისადმი მათი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. დასამალავი როდია, რომ აქამდე საბჭოების აღმასკომებს ძირითადად აინტერესებდათ ციფრობრივი მონაცემები. რაიაღმასკომებისა თუ სასოფლო საბჭოების აღმასკომების სხდომებზე განიხილავდნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოკლე ინფორმაციებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ამა თუ იმ საკითხზე. ყველა ასეთ შემთხვევაში საკითხი ეხებოდა გაწეული მუშაობის შედეგებს, აღმასკომი ინტერესს არ იჩენდა იმისადმი, თუ როგორ არის ორგანიზებული შრომა კოლმეურნეობებში, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი.

ახლა, როცა შეიცვალა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების სტრუქტურა, საკითხი კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ სხვაგვარად დადგა. სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციებს დიდი ამოცანები დაეკისრათ. ისინი მოვალენი არიან საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგონ სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევები და პრაქტიკოსთა გამოცდილება, უხელმძღვანელონ მეთესლეობას და მეჯიშეობას მეცხოველეობაში, მიწათმოწყობას და მიწის ფართობების აღრიცხვას, სავეტერინარო სამსახურს, ზედამხედველობა გაუწიონ სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებებს, დაეხმარონ კოლმეურნეობებს აღრიცხვის მოწესრიგებასა და წარმოების დაგეგმვაში. რაიაღმასკომებთან შექმნილია საწარმოო-ტექნიკური საბჭოები, რომლებიც განიხილავენ სოფლის მეურნეობის პერსპექტიულ ამოცანებს.

ახლებურად მუშაობის პირველმა თვეებმა დაგვანახვა, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომები, სასოფლო საბჭოები უფრო ახლოს მივიდნენ წარმოებასთან. ოლქის კოლმეურნეობებში წელს საგრძნობლად იმატა პირუტყვის პროდუქტიულობამ, პირველი ივლისისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მილებულია 571 ლიტრი რძე, 100 ლიტრით მეტი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის იყო მიღებული. ახლა ჩვენში ერთეული კოლმეურნეობები როდია, რომლებიც ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოებენ 50-70 ცენტნერ ხორცს, 200-300 ცენტნერ რძეს. არის ცალკეული კოლმეურნეობები, რომლებიც გაცილებით უფრო მეტს იღებენ. ფართოდ გაიშალა ძროხების სადგომების, საღორეების, სასილოსე ნაგებობების მშენებლობა. მთელ რიგ კოლმეურნეობებს კეთილმოწყობილი, მექანიზებული ფერმები აქვთ. განუწყვეტლივ უმჯობესდება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა.

საბჭოების გადაუდებელი ამოცანაა მთელი დატვირთვით იბრძოლონ მოწინავე კოლმეურნეობების, სოფლის მეურნეობის ნოვატორების გამოცდილების წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიური კონფერენციების მოწყობას. ყურადღება უნდა მიექცეს სოციალისტური შეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შემოწმებას. ამ შემოწმების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი უნდა იყოს ნაკლოვანებათა გამოვლინება, რომ შემდგომში საბჭოების, კოლმეურნეობების მუშაობა მოეწყოს ნაკლოვანებებთან ბრძოლის ნიშნით.

ახალ ვითარებაში დიდი მოვალეობა აკისრიათ საბჭოების მუდმივ კომისიებს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის მუდმივ კომისიებს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს საბჭოებში უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა მუდმივი კომისიების მუშაობა. თუ რა დიდი ორგანიზატორული მუშაობის გაჩაღება შეუძლიათ საბჭოების მუდმივ კომისიებს, კარგად ჩანს ზნაურის რაიონის ჟინვევისა და სტალინირის რაიონის არცევის სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიების საქმიანობის მაგალითით. დიდ როლს ასრულებენ დეპუტატები და აქტივისტები. აღნიშნული საბჭოების მუდმივი კომისიები იბრძვიან იმისათვის, რომ სისტემატურად იზრდებოდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება.

ლენინგორის რაიონის კორინთის და ზაყორის სასოფლო საბჭოების მუდმივი კომისიების დახმარებით მშრომელთა ფართო მასების ყურადღების ცენტრში დგას მეცხოველეობის საკითხები, პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის ბრძოლა.

კოლმეურნეობათა ეკონომიკის ზრდამ შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება. სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა პირველი ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების ჩაბარების ნახევარი წლის გეგმები.

ახალ ვითარებაში მნიშვნელოვან საკითხად რჩება საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვა. როგორც ცნობილია, საწარმოო ბრიგადების სეზონური და კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმები დგებოდა მტს-ების დახმარებით. ახლა ეს საქმე მთლიანად კოლმეურნეობებს მიენდო. ამასთან დაკავშირებით ახლა კოლმეურნეობებს სჭირდებათ აგრონომი-მეგეგმავეები. აქამდე რაისაბჭოს აღმასკომების მიერ ბევრგან კოლმეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმების განხილვა-დამტკიცება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღმასკომებში ძირითადი გეგმების ციფრებს ეძებდნენ, ლაპარაკობდნენ უმთავრესად სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებაზე, ხოლო გეგმების განხილვა, საქმის ძირითადი არსი განზე რჩებოდა, ღრმად განხილვისათვის დრო აღარ ყოფნიდათ. ახლა რაისაბჭოების აღმასკომებში გამოჩნდნენ კვალიფიციური კადრები, სპეციალისტები, რომლებმაც საქმე საფუძვლიანად იციან, და გეგმების განხილვასაც შემოქმედებითი ხასიათი მიეცა.

სამხრეთ ოსეთში დროულად გაიშალა მოსავლის აღების ფართო სამუშაოები. მოსავალი მაღალია, ამასთან თითქმის ყველა კულტურებისა. რამდენიმე წელია ჩვენს კოლმეურნეობებში ასეთი შესანიშნავი ყანები, სიმინდები არ უნახავთ; უხვად მოდის ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული. ეჭვს გარეშეა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ დროულად და უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი. ამ საქმეში თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს სოფლად განხორციელებულ ცვლილებათა ნაყოფიერმა გავლენამ და საბჭოების მუშაობამ.

კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის

საშუალო სკოლიდან მოსულებმა თავი ისახელეს

ყოველწლიურად საშუალო სკოლის ბევრი კურსდამთავრებული მოდის სამუშაოდ გორის საკონსერვო ქარხანაში. მარტო წელს სიმწიფის ატესტატით ოთხმოცამდე ახალგაზრდა მოვიდა.

მიმდინარე სეზონში სამურაბე საამქროში მუშაობა დაიწყეს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა ძმებმა ელგუჯა და თეიმურაზ მენაბდიშვილებმა. ენერგიული შრომით ამ ახალგაზრდებმა საამქროს კოლექტივის სიყვარული დაიმსახურეს. ყოველდღიურ გეგმებს 140-150 პროცენტით ასრულებენ.

კარგად მუშაობენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ ამავე საშუალო სკოლიდან მოსული მუშები ვ. ჯიოშვილი, დ. მაჭავარიანი, დ. განჯელაშვილი და სხვები.

მთავარ საამქროშიც ბევრია სიმწიფის ატესტატით მოსული ახალგაზრდა. მათგან მისაბაძია ნ. მახარაშვილის, ტ. ოქროპირიძის, ლ. კობერიძის და ნ. დავარაშვილის მუშაობა.

ქალაქ გორის მეხამე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1956 წელს, საკონსერვო ქარხანაში მუშაობა დაიწყო ნ. ჯიოშვილმა. იგი პირველ წელს სამურაბე საამქროში ნედლეულის დახარისხებაზე მუშაობდა. ძველი მუშების დახმარებით ჯიოშვილმა მხუფავის პროფესია შეისწავლა და ახლა საამქროში ერთ-ერთი მოწინავეა, დავალებას 160 პროცენტით ასრულებს. ეს მოწინავე მუშა კომკავშირელებმა საამქროს კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

დიდია ახალგაზრდობის წვლილი ქარხნის მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმის შე რულებაში. ქარხანამ ა თვის გეგმა 101,5 პრ ცენტით შეასრულა, უმ ღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით ამავ პერიოდში გაზრდილა 18,1 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 10 პროცენტით. უკეთესი შრომითი მაჩვენებლებია ივლისში.

ახალგაზრდა გორელ მეკონსერვეები, რომელთა დიდ ნაწილს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები შეადგენენ, ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავ ღირსეული შრომითი გამარჯვებებით შეხვდებიან.

ნ. მალალდაძე,

„კომუნისტის" სოუშაგოს ხელმძღვანელი გორის საკონსერვო ქარხანაში.

ვალდებულებებს ასრულებენ

წალენჯიხა. („კომუნისტის" სპეც. კორ.). წალენჯიხელმა ახალგაზრდებმა, ჩაებნენ რა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება აიღეს წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 1.700.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღონ 1.300 ლიტრი რძე, ხოლო სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე 32 ცენტნერამდე გაადიდონ.

ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სოფელ ჯგალის სტალინის სახელობის, წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის, ნაკიფუ სტალინის სახელობის და სხვ კოლმეურნეობების კომკავშირელები და ახალგაზრდები.



კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კომკავშირელები და ახალგაზრდები შრომითს ვახტზე დადგნენ. **სურათზე:** ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მოწინავე მუშა ტ. პროხოროვა, რომელიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს. ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა

ვ. სანიკიძე,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე

უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს სოფელში დიდი გარდატეხა მოხდა. განუხრელად ახორციელებენ რა პარტიის XX ყრილობის, სკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის ბრძოლაში.

ქართველმა კოლმეურნე გლეხობამ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება „სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ" და თავდადებით შრომობს ამ ისტორიული დადგენილების წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩაის კულტურა ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრეა. პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მეჩაიეობის განვითარებას. 1965 წლისათვის რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის დამზადება 170 ათას ტონამდე უნდა გაიზარდოს. წელს ქართველი მეჩაიეები იმისათვის იბრძვიან, რომ მისცენ სამშობლოს 125 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ეს დავალება წარმატებით იქნება განაღდებული.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა აქვს მევენახეობასა და მებაღეობას. საქართველოს კომპარტიის XVIII ყრილობამ ამოცანად დაგვისახა შემდგომ გავადიდოთ ყურძნისა და ხილის მოსავლიანობა. ქართველი მევენახეები და მებაღეები ბეჯითად შრომობენ ყრილობის ამ დავალების შესრულებისათვის. ბევრ რაიონსა და კოლმეურნეობაში ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. მეხილეობის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გააუმჯობესეს ბაღების მოვლა და მნიშვნელოვნად გაადიდეს მოსავლიანობა. შარშან სამხრეთ ოსეთში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 66,6 ცენტნერი თესლოვანი ხილი, ხოლო გორის რაიონში — 45 ცენტნერი.

დიდი წარმატებებია მოპოვებული მეთამბაქოობის კოლმეურნეობებში. 1942 წელთან შედარებით რესპუბლიკაში თამბაქოს მოსავალი გადიდებულია 2,3-ჯერ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თამბაქოს ფართობი 2.800 ჰექტარით გადიდდა.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე თითო ძროხის საშუალო წველადობა 531 კილოგრამიდან 1.002 კილოგრამამდე გაიზარდა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. მაგრამ პარტიული ორგანიზაციები, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მოწოდებული არიან არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, ყოველი ღონისძიებით უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა.

საკოლმეურნეო სოფელი მდიდარია შესანიშნავი ტალანტებით, წარმოების ნოვატორებით. ყოველდღიურად მასების შუაგულიდან წინაურდებიან გაბედული აზრისა და შემოქმედებითი თაოსნობის ადამიანები, რომლებიც თავიანთი პატრიოტული შრომის მაგალითით გვასწავლიან, თუ როგორ მოვიყვანოთ უხვი მოსავალი და გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ვინ არ იცნობს, მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მერგოლურს, სოციალისტური შრომის გმირს ტატიანა ჩხაიძეს. იგი ყოველწლიურად ზრდის ჩაის ფოთლის მოსავლიანობას როგორც მთლიანად რგოლის, ისე მისთვის მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში. შარშან ტ. ჩხაიძის რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფა 8.592 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, თავის ნაკვეთზე კი მეჩაიე ნოვატორმა ჰექტარზე გადაყვანით ჩაის ფოთლის მოსავალი 14.032 კილოგრამამდე გაზარდა.

წელს ტატიანა ჩხაიძე და მისი რგოლის წევრები იმისათვის იბრძვიან, რომ საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 10.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. თავის ნაკვეთზე კი ნოვატორი მეჩაიე პირობას იძლევა საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 16.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

როგორ აღწევს ტატიანა ჩხაიძე ჩაის ფოთლის ასეთ მაღალ მოსავალს? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ დიდი მზრუნველობით უვლის ჩაის ბუჩქებს და განუწყვეტლივ აწარმოებს კრეფას მთელი სეზონის განმავლობაში. მის ნაკვეთში ნიადაგი რიგთა შორის ყოველთვის გაფხვიერებულია და მთლიანად გაწმენდილია სარეველებისაგან. ტატიანა ჩხაიძემ შეიმუშავა პლანტაციაში აზოტოვანი სასუქების შეტანის ყველაზე ეფექტური ვადები. ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანაში თავისი ცოდნა და გამოცდილება მან მთელ კოლმეურნეობაში დანერგა და მოწინავე მეჩაიეთა ახალი თაობა გამოზარდა.

ბევრი სახელოვანი ნოვატორი მოღვაწეობს ჩვენი რესპუბლიკის ზვრებსა და ხეხილის ბაღებში. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანის კოლმეურნეობის მევენახეთა რგოლის ხელმძღვანელის ზ. გიორგაძის შრომითი წარმატებანი. ათ წელზე მეტია, რაც იგი კოლმეურნეობაში მევენახეთა რგოლს ხელმძღვანელობს და ყოველწლიურად ყურძნის უხვ მოსავალს იღებს. 1955 წელს, მიუხედავად იმისა, რომ ვენახები დაისეტყვა, ზ. გიორგაძის რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე 77 ცენტნერი ყურძენი მიიღო. 1956 წელს საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილ იქნა 119 ცენტნერი, ხოლო 1957 წელს — 132 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 68 ცენტნერისა. წელს ზ. გიორგაძის რგოლის მევენახეები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას იმისათვის, რომ საშუალოდ ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ.

შორს არის განთქმული გორის რაიონის სოფელ მერეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მებაღის აკაკი გუგუტიშვილის სახელი. მას მოსავლელად მიჩენილი აქვს 7 ჰექტარი ხეხილის ბაღი, რომლიდანაც შარშან 1.163 ცენტნერი ხილი მიიღო. საშუალოდ ჰექტარზე ეს 166,7 ცენტნერს შეადგენს.

ამ წარმატებას აკაკი გუგუტიშვილმა იმით მიაღწია, რომ ხეხილის ბაღებში ზუსტად ახორციელებს აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს: დროზე შეაქვს მინერალური სასუქები, ატარებს რიგთა შორის ნიადაგის ხვნას და ძირების შემოთოხნას, ზუსტად ახორციელებს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, სხლავს და წმენდს მცენარეთა ტოტებს.

განუწყვეტლივ იზრდება ნოვატორთა რიგები აფხაზეთის მეთამბაქოობის კოლმეურნეობებში. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა გულრიფშის რაიონის სოფელ მაჟარის ი. ჰაჭვაძის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე ეკატერინე კოკაია. 1956 წელს მან ჰექტარზე გადაყვანით მიიღო 27,9 ცენტნერი თამბაქო. 1957 წელს კიდევ უკეთესად იმუშავა და ჰექტარზე გადაყვანით 30,8 ცენტნერი თამბაქოს ფოთოლი დაამზადა.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა ნოვატორთა რიგები საკოლმეურნეო მეცხოველეობაში. ყველას უსწრებს წინ თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ფ. გამჯაშვილი, რომელსაც მოსავლელად ჩაბარებული ჰყავს 10 ძროხა. შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე მან 4.212 კილოგრამი რძე მიიღო. წელს წველადობის კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებისათვის იბრძვის. ფ. გამჯაშვილმა ვალდებულება აიღო საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღოს 5.000 კილოგრამი რძე. ეს ვალდებულება სასახელოდ იქნება შესრულებული.

მეაბრეშუმეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მეაბრეშუმეობა განსაკუთრებით ფართოდ განვითარდა. გაიზარდა და გამრავლდა მოწინავე მეაბრეშუმეთა რიგებიც. აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღებით სახელი გაითქვა წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის კოლმეურნეობის მერგოლურმა ნინო ბარაბაძემ. 1957 წელს ნ. ბარაბაძის რგოლმა 8,5 კოლოფი თეთრპარკოვანი ჯიშის აბრეშუმის ჭია გამოკვება და გეგმით გათვალისწინებული 205,8 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს 456 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა. პირადად ნინო ბარაბაძემ გამოკვება 19 გრამი აბრეშუმის ჭია, რომლიდანაც ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 46,6 კილოგრამისა 121,5 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო.

წელს ნინო ბარაბაძის მეაბრეშუმეთა რგოლმა 5 კოლოფი აბრეშუმის ჭია გამოკვება და 289,9 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო, რითაც გეგმა 210 პროცენტით შეასრულა.

— ჩემი მუშაობის გამოცდილებამ მიჩვენა, — მოგვითხრობს ნოვატორი მეაბრეშუმე, — რომ აბრეშუმის ჭიას უხვად ესაჭიროება საკვები — თუთის ხის ფოთოლი. ამიტომ, თუ გინდა აბრეშუმის პარკის უხვი მოსავალი მიიღო, ყოველწლიურად უნდა ამრავლო თუთის ხე. ჩვენი რგოლის თვითეული წევრი დიდი მზრუნველობით უვლის თუთის ხეებს, ყოველწლიურად ამრავლებს მათ. ამიტომ ჩვენს რგოლს ყოველთვის საკმაოდ აქვს თუთის ფოთოლი. ამასთან ერთად ზუსტად ვიცავთ ჭიის მოვლისა და კვების წესებს, რაც აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მიღების საწინდარია.

მეცხოველეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის კულტურის შემდგომ განვითარებას. ამის მკაფიო დადასტურებაა მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კოლმეურნეობაში სიმინდის ნათესი ფართობი გადიდდა ერთნახევარჯერ, ხოლო მისი მოსავლიანობა — 2,6-ჯერ. ახლა აქ საშუალოდ ჰექტარზე 54,6 ცენტნერ სიმინდს იღებენ.

სიმინდის ნათესების სილოსად და მწვანე საკვებად გამოყენებამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობაში საკვები ბაზის განმტკიცებას. საკვების, პირველ რიგში სიმინდის სილოსის, სიუხვემ უზრუნველყო წველადობის მკვეთრად გადიდება. შარშან საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულ იქნა 3.465 კილოგრამი რძე, რაც 3.045 კილოგრამით აღემატება 1952 წლის წველადობას. ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულზე 1957 წელს მიღებულ იქნა 239,6 ცენტნერი რძე ნაცვლად 1953 წლის 17,2 ცენტნერისა.

ასე შესანიშნავად უწყობს ხელს სიმინდი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას. კოლმეურნეობაში ყოველწლიურად სიმინდის უხვ მოსავალს იღებენ. ყველას უსწრებს წინ მესიმინდეთა ბრიგადა, რომელსაც ზ. ცოციაშვილი ხელმძღვანელობს. შარშან ბრიგადამ 40 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერი სიმინდი. ვის არ შეუძლია იამაყოს სიმინდის ასეთი მოსავლით!

სოფლად სრულიად ახალი ვითარება შეიქმნა იმის შედეგად, რომ განხორციელდა ღონისძიებანი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციისათვის, აგრეთვე ცვლილებანი დამზადების წესში, ფასებსა და პირობებში. ახალი ხელს რელი პირობები ყველა საშუალებ ქმნის იმისათვის, რომ შემდგომ ამაღ დეს კოლმეურნეთა აქტივობა და ინ ციატივა, მკვეთრად გადიდდეს სასო ლო-სამეურნეო პროდუქტების წარ მოება.

მტს-ებისაგან შეძენილი ტექნიკის მ ღალნაყოფიერად გამოყენება კოლმეურ ნეობათა საბრძოლო ამოცანაა. ამ მხრ ერთგვარი დადებითი გამოცდილება შ ძინეს ბოლნისისა და ქარელის რაიონ ბის კოლმეურნეობებმა. სრული დატვ თვით იყენებს, მაგალითად, მტს-ებიდ შეძენილ ტექნიკას ქარელის რაიონ სოფელ არადეთის კოლმეურნეობა. კ მუნისტთა კრებაზე, რომელსაც უპარტ კოლმეურნეებიც ესწრებოდნენ, ფა თოდ განიხილეს საკოლმეურნეო ტექ კის მოვლა-პატრონობის, მექანიზატო თა კადრების მომზადების საკითხი დ სათანადო ღონისძიებებიც დასახეს. კო მეურნეობას შესყიდული აქვს 5 ტრა ტორი, სხვადასხვა სახეობის მისაბმე იარაღ-მანქანები და 4 კომბაინი. მექა ზატორებად შერჩეული არიან მოწინავ საქმის მცოდნე ადამიანები, რომელ უმრავლესობა კომუნისტები და კომკა შირელები არიან. სატრაქტორო ბრიგ დის ხელმძღვანელად დანიშნული კომ ნისტი ი. ტიტვინიძე, ხოლო მოადგილ — დ. ზუბაშვილი. წინათ აქ უვლე ბელყოფდნენ ნათესების კულტივაცი წელს კი 250 ჰექტარ ნათესებზე ორჯ ჩაატარეს კულტივაცია. პურეულის მ სავლის ასაღებად დროულად იქნა მო ზადებული იარაღ-მანქანები. 21 ივლი სათვის 919 ჰექტარიდან უკვე აღებ ლი იყო 700 ჰექტარი პურეული. მ ყოველდღიურ დავალებებს დიდი გა ჭარბებით ასრულებენ კომბაინერებ ა. და ი. ტიტვინიძეები.

ასეთია რესპუბლიკის სოფლის მეუ ნეობის მოწინავეთა მუშაობის შესან ნავი მაგალითები. ისინი დამაჯერებლ მოწმობენ, რომ საკოლმეურნეო წარმო ბაში ბევრი გამოუყენებელი რეზერვა მაგრამ იმისათვის, რომ რაც შეიძლე სწრაფად და სრულად იქნას გამოყენ ბული ეს რეზერვები, უწინარეს ყოვ ლისა საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობე სოთ მოწინავე გამოცდილების შესწავ და პროპაგანდა ფართო მასებში.

ქვირფასი ისტორიული ძეგლი

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ იასის გაზეთის „ფლაკარა იასულუის“ მიმდინარე წლის 26 ივლისის ნომერში დაბეჭდილია რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მუშაკის ლაზარ ბენეშის წერილი, რომელიც ბესიკის საფლავის ქვის აღმოჩენის ისტორიას ეხება. აქვეა დაბეჭდილი გიორგი ლეონიძის სურათი. ქართველ მკითხველებს ამის შესახებ თავის დროზე დაწვრილებით მოუთხრო გიორგი ლეონიძემ.

ვბეჭდავთ შემოკლებით ლ. ბენეშის წერილს, რომელშიც ნათლად ჩანს, თუ რა დიდ გულისხმიერებას იჩენენ ჩვენი რუმინელი მეგობრები სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი პოეტის ხსოვნისადმი.

★ ★ ★

მოლდავეთის ისტორიული მუზეუმის სიძველეთა განყოფილებაში არის თეთრი მარმარილოს საფლავის ქვა. მისი წარწერა ქართულ და ბერძნულ ენებზეა შესრულებული.

1895 წლამდე ეს საფლავის ქვა „წითელი პარასკევის“ სასაფლაოზე იდო. დროთა განმავლობაში ეს სასაფლაო დაინგრა და 1922 წელს ბევრი საფლავის ქვა გადაიტანეს გოლიას ეკლესიაში.

ისტორიკოსი გ. ბალში თავის გამოკვლევაში „მოლდავეთის XVII-XVIII საუკუნეთა ეკლესიები და მონასტრები“ წერდა, რომ ეს საფლავის ქვა ეკუთვნოდა რუმინელ მწერალს თევდორეს. გაბაშვილი კი არავინ იცოდა, სად იყო დამარხული.

ცნობილი იყო, რომ ბესიკი ცხოვრობდა იმერეთის მეფის სოლომონის კარზე, მალე დაწინაურდა და დაინიშნა დესპანად რუსეთში. რამდენიმე ხანს უკრაინასა და მოლდავეთში მსახურობდა მხედართმთავარ პოტიომკინის შტაბში. სარწმუნო წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ თურქეთ-რუსეთის ომის დროს 1790-1791 წლებში პოტიომკინი და გაბაშვილი ცხოვრობდნენ იმ შენობაში, სადაც დღეს იასის სამედიცინო ინსტიტუტია. გაბაშვილი გარდაცვლილა იქ 1791 წელს.

1949 წლის გაზაფხულზე იასში ჩამოვიდა ბულგარეთიდან დაბრუნებული საბჭოთა დელეგაცია. ამ დელეგაციის აზრით, გაბაშვილი იასში უნდა ყოფილიყო დამარხული „გოლიას“ ეკლესიაში. ქართველ მეცნიერებს უჩვენეს ის საფლავის ქვა, რომელიც, გ. ბალშის აზრით, რუმინელ მწერალს თევდორეს ეკუთვნოდა. საფლავის ქვაზე ამოჭრილი ქართული ასოების ამოკითხვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს ქართველი პოეტის ბესიკის საფლავის ქვა იყო. 1950 წლის დეკემბერში იგი გოლიას ეკლესიიდან ისტორიულ მუზეუმში გადაიტანეს და დღემდე იქ ინახება.

ლაზარ ბენეში.

ჩინეთის სახალხო მედიცინის საფუძვლები და მისი თანამედროვე მნიშვნელობა

ჩინეთის სახალხო ექიმების გამოცდილებას ნემსის ჩხვლეტით მკურნალობაში, რომელიც მრავალ დაკვირვებასა და მდიდარ გამოცდილებას ემყარება, წარმატებით იყენებენ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის დროს.

ისტორიკოსების ვარაუდით, ნემსით ჩხვლეტით მკურნალობის მეთოდი (აკუპუნქტურა — „ჭენ“) და ამოწვა (მოკსა— „ძიუ“) ჯერ კიდევ ქვის ხანაში დაინერგა.

ჩინელმა მეცნიერმა ვან ვი-დემ (1127-1279 წ.), რომელიც ნემსის ჩხვლეტით და ამოწვით მკურნალობის მეთოდებს სწავლობდა, ბრინჯაოსაგან ჩამოასხა ადამიანის მაკეტი, რომლის ზედაპირიც დაჰყო 12 ხაზით და ამ ხაზების მიმართულებით აღნიშნა „სიცოცხლის წერტილები“. ეს წერტილები იყო დაახლოებით 600-მდე და ამ წერტილებშივე ხდებოდა ნემსის ჩხვლეტა და ამოწვა. ცოტა მოგვიანებით სახალხო ექიმმა ხუ ტი-ფინმა 12 ხაზს დაუმატა ორი ხაზი და აღნიშნა დაახლოებით 700-მდე წერტილი, რომლებიდანაც 100 წერტილი ძირითადია.

ნემსის ჩხვლეტითა და ამოწვით მკურნალობის მეთოდები ჩინეთიდან გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც: იაპონიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკაში და სხვ.

ნემსის ჩხვლეტითა და ამოწვით მკურნალობის მოქმედების მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ ფიქრობენ, რომ იმპულსები პერიფერიული რეცეპტორებით ცენტრისაკენ მიმავალი გზების საშუალებით აღწევს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და ახდენს განსაზღვრულ რეგულირებას ამა თუ იმ დაავადების დროს.

ამჟამად არჩევენ ნემსის ჩხვლეტის შემდეგ ძირითად სახეებს:

1. ღრმა — ლითონის წვრილი ნემსის ერთ ან რამდენიმე წერტილში ჩხვლეტით მკურნალობა.
2. ზერელე — კანში ნემსის ჩხვლეტით მკურნალობა, რომელიც ტარდება ნემსების კონით.
3. კომბინირებული — ნემსში გალვანური და ფარადული დენის გატარებით. ყველაზე ძველი და გავრცელებულია პირველი მეთოდი.

რაც შეეხება ამოწვას, ამ შემთხვევაში არჩევენ ორ ძირითად მეთოდს: ღრმა ამოწვა — დამწვრობისა და ნაწიბურის მიღებით, და ზერელე ამოწვა, ე. ი. განსაზღვრული გათბობა კანის ზედაპირიდან 1 სმ. დაშორებით.

ნემსის ჩხვლეტითა და ამოწვით მკურნალობის დაწყების წინ ავადმყოფს დაწვრილებით უნდა აეხსნას მკურნალობის მნიშვნელობა, ტექნიკა და ამ დროს შესაძლებელი შეგრძნება. საჭიროა ავადმყოფმა პროცედურის მსვლელობის დროს შეატყობინოს ექიმს, თუ რას შეიგრძნებს, რომ ექიმმა დროზე მიიღოს საჭირო ზომები. პროცედურის დაწყების წინ ავადმყოფს დასვამენ ან დააწვენენ იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობა უფრო მოსახერხებელია ამ შემთხვევაში. ავადმყოფის კანს, ინსტრუმენტებსა და ექიმის ხელებს უკეთდება დეზინფექცია, ნემსის შეყვანა ხდება ფრთხილად და რაც შეიძლება უმტკივნეულოდ. იმ შემთხვევაში, თუ ნემსის შეყვანა ძლიერ მტკივნეულია, ნემსს ამოიღებენ ან უცვლიან მიმართულებას და განაგრძობენ პროცედურას. რეკომენდებულია სუსტ ავადმყოფებს პირველად გაუკეთდეს საერთო გამამაგრებელი ნემსები.

საუკუნეების მანძილზე დაგროვებული გამოცდილებით დადგენილია, რომელ დაავადებაზე რომელი წერტილი მოქმედებს, რა სიღრმეზე და რა ხნით უნდა ნემსის შეყვანა. წერტილების არჩევის შემდეგ შერჩეულ უნდა იქნას ნემსები. ნემსები 9 ძირითადი სახისა არსებობს. ყველაზე ხშირად იხმარება ფოლადის, ვერცხლისა და ოქროს მრგვალი ნემსები.

კანში შეყვანის შემდეგ ნემსი უნდა მოხვდეს განსაკუთრებულ ნერვს და მიღებულ იქნას ზოგ შემთხვევაში ძლიერი, ზოგჯერ კი სუსტი გაღიზიანება. იმისათვის, რომ მივაღწიოთ ნერვის ძლიერ ან სუსტ გაღიზიანებას, რომლის შედეგად ძლიერი აგზნება თანდათან გადადის შემაკავებელ მდგომარეობაზე, იხმარება სხვადასხვა მეთოდები.

ნემსის ჩხვლეტისა და ამოღების დროს კუნთები უნდა იყოს მაქსიმალურად მოდუნებულ მდგომარეობაში: ნემსის ჩხვლეტის პროცედურის დანიშვნა ხდება ყოველდღე ან შესვენებებით იმ დრომდე, სანამ პაციენტი არ გამოჯანმრთელდება.

ამოწვით მკურნალობის საფუძველი იგივეა, რაც ნემსით ჩხვლეტისა, იმ განსხვავებით, რომ „სასიცოცხლო წერტილები“ განიცდიან თერმიულ გაღიზიანებას. ამოწვა წარმოებს განსაკუთრებული სიგარეტით, რომლის სიგრძეა 10 სმ. და სისქე 10-15 მმ.

ნემსის ჩხვლეტით მკურნალობას სხვადასხვა დაავადების დროს იყენებენ. იშიაზის, რადიკულიტების, სამწვერა ნერვის ნევრალგიების, სახის ნერვის დამბლის, პოლიატრიტის, პოლინევრიტის, ნევრასთენიების, თავის ტკივილების, ჰიპერტონული დაავადების, ბრონქიალური ასთმის, ქრონიკული გასტრიტების, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებების, ქრონიკული შეკრულობის, აფონიის, იმპოტენციის, ქავილისა და სხვა დაავადებებისა და სიმპტომების დროს. ჩინური მეთოდით მკურნალობა წარმოადგენს ძვირფას უძველეს მეთოდს, მაგრამ თუ მისი გაკეთების ტექნიკა ცუდია, მაშინ იგი კარგავს თავის მნიშვნელობას.

საბჭოთა კავშირში მკურნალობის ეს მეთოდი 1957 წლიდან დაიწყო. ქ. მოსკოვის ს. პ. ბოტკინის სახელობის ლენინის ორდენოსან კლინიკურ საავადმყოფოში, რომელსაც მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მ. კ. უსოვა ხელმძღვანელობს, უკვე მრავალმა ათეულმა ექიმმა შეისწავლა ჩინელი ექიმების მკურნალობის აღნიშნული მეთოდი.

1958 წელს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს სხდომამ განიხილა ჩინური მკურნალობის ეს მეთოდი, მოიწონა და მისი შემდგომი განვითარების მიზნით დასახა ღონისძიება. 1958 წლის 27 მაისიდან მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში დაიწყო ექიმების მასობრივი მომზადება, რომლებიც სათანადო მომსახურებას გაუწევენ მოსახლეობის ფართო ფენებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ნემსის ჩხვლეტითა და ამოწვით მკურნალობის დანერგვისათვის გადადგა ნაბიჯი კადრების მომზადების მხრივ. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ქსელს მიემატა და ახლო მომავალში უფრო გაფართოვდება ჩინური მეთოდით მკურნალობა, რაც ახალი ნაბიჯი იქნება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში.

ექიმი ბ. ჩხეიძე.

ახალი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა

კიდევ ერთი ახალი სამკურნალო ობიექტი შეემატა დედაქალაქს. 1 აგვისტოს პლეხანოვის პროსპექტზე № 189 სახლში გაიხსნა სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ახალი სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, რომელიც მოსახლეობას დაბალ ფასებში გაუწევს კვალიფიციურ სტომატოლოგიურ მომსახურებას.

პოლიკლინიკას აქვს თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული სტომატოლოგიის განყოფილებები, რენტგენის კაბინეტი, კბილის საპროტეზო ლაბორატორია. პოლიკლინიკა აღჭურვილია ყველა თანამედროვე მოწყობილობით, აქ დგას კბილის სამკურნალო ჩეხოსლოვაკიური დანადგარი „ხერანა“, რომელზეც ერთდროულად თავსდება ყველა საჭირო სამკურნალო ინსტრუმენტი, რენტგენის აპარატი და სხვა სამკურნალო იარაღი.

პოლიკლინიკას აქვს 9 დიდი ნათელი ოთახი, ავადმყოფთა მოსაცდელი, 10 სამკურნალო სავარძელი. იგი მუშაობს ორ ცვლად — დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე. დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ავადმყოფებს უმკურნალებენ სტომატოლოგიური მეცნიერების წამყვანი სპეციალისტები — პროფესორი ა. ედიბერიძე, ი. გაგუა, ნ. ჩხეიძე და სხვები.

მოწინავე გამოცდილება არა მარტო ცალკეულ ნოვატორთა კუთვნილებაა, არამედ იგი საერთო-სახალხო საკუთრებაა, მთელი საბჭოთა ხალხის სიმდიდრეა: ყოველი ღონისძიებით უზრუნველვყოთ წარმოების ნოვატორთა მიღწევების, მათი გამოცდილების სრულად გამოყენება სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად — ასეთია პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობა. მაგრამ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი ასრულებს ამ მოვალეობას სათანადო აქტივობითა და გაქანებით.

ჯერ კიდევ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ სუსტად ვეწევით ახლის პროპაგანდას და ცუდად ვნერგავთ მას წარმოებაში. უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დიდი მუშაობაა გაწეული ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ახლა უფრო უნარიანად სწავლობენ და განაზოგადებენ, პროპაგანდას უწევენ და ნერგავენ წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პარტიის გორის, წითელწყაროს, ბათუმის, ქობულეთის, გალის, მახარაძის, გურჯაანის, საგარეჯოს, ბოლნისის რაიონული კომიტეტების პრაქტიკა. ისინი უნარიანად აწყობენ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, რისთვისაც ფართოდ იყენებენ მასებში პოლიტიკური მუშაობის ყველა ნაცად ფორმასა და საშუალებას. ამ მიზნით ეწყობა რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კოლექტიური დათვალიერება, ექსკურსია მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, წარმოების ნოვატორთა მივლინება ჩამორჩენილ მეურნეობებში სათანადო პრაქტიკული დახმარების გასაწევად. გარდა ამისა, მოწინავე კოლმეურნეობებსა და მეცხოველეობის ფერმებში ეწყობა არტელების თავმჯდომარეების, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებისა და ფერმების გამგეების სემინარები, იმართება ეკონომიური კონფერენციები და სხვ.

ასეთი მაგალითები ცოტა როდია. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პარტიის ბევრი რაიკომი და პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ძალიან სუსტად ეწევა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას, ყველა ღონისძიებას არ იღებს ამ გამოცდილების წარმოებაში დანერგვისათვის. ამაზე ნათლად მეტყველებს დიდი განსხვავება ცალკეულ მოწინავეთა და საერთო-სარაიონო მაჩვენებლებს შორის.

ამას წინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელების შესახებ და აღნიშნა, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ ძალიან სუსტად არის მოწყობილი წარმოების ნოვატორთა გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პროპაგანდა და დანერგვა. შესანიშნავი სამეცნიერო აღმოჩენები, მოწინავე პრაქტიკის ხერხები და მეთოდები აქამდე ფართოდ არ არის გამოყენებული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

პარტიის მთელი რიგი რაიკომები და რაიონული საბჭოების აღმასკომები, აღნიშნულია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში, არ გამოდიან მოწინავე გამოცდილების წარმოებაში მასობრივად დანერგვის ორგანიზატორებად. ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგან პარტიის რაიკომების მდივნები და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, აგრეთვე რაიონული კომიტეტისა და რაიაღმასკომის წევრები ნაკლებად იცნობენ მოწინავე გამოცდილებას და მეცნიერების მიღწევებს, ჯეროვან დახმარებას არ უწევენ სოფლის მეურნეობის ნოვატორებს მათი გამოცდილების ფართოდ გავრცელებაში.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის საკითხებს იშვიათად განიხილავენ პარტიის მთელი რიგი რაიკომების ბიუროების სხდომებსა და რაიონული კომიტეტების პლენუმებზე, რაიაღმასკომების სხდომებსა და რაიონული საბჭოების სესიებზე. ნაკლებად ეწყობა ამ საკითხზე ლექციები, მოხსენებები, საუბრები და სემინარები. შემთხვევითი ხასიათი აქვს ექსკურსიებს მოწინავე კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა ხანმოკლე წარმავალი კამპანია კი არ არის, არამედ პარტიული ორგანიზაციების მუდმივი საბრძოლო ამოცანაა. პარტიული მუშაკები მოვალენი არიან არ დაკმაყოფილდნენ მარტო მოწოდებებით მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელების შესახებ, არამედ ღრმად შეისწავლონ ეს გამოცდილება და პირადი მაგალითის ჩვენებით უშუალოდ ჩაუდგნენ სათავეში ნოვატორთა ხერხებისა და მეთოდების წარმოებაში დანერგვისათვის გაჩაღებულ ორგანიზატორულ მუშაობას. თვითეული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელი მოვალეა ფართოდ დაუჭიროს მხარი ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი მის განვითარებას.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში განსაკუთრებით დიდია ჩვენი პრესისა და რადიოს როლი. ამოცანა ის არის, რომ პრესა და რადიო მოწინავეთა ნამდვილ ტრიბუნად გადავაქციოთ. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ძალიან მცირე რაოდენობით უშვებს ნარკვევებს, ბროშურებს და ლამაზად შესრულებულ პლაკატებს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების შესახებ. ასევე შეიძლება ითქვას კინოსტუდია „ქართულ ფილმზე“, რომელიც ძალიან ცოტას დგამს ფილმებს საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა შესახებ.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის საქმეში არსებული ეს დიდი ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. საჭიროა პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა თავიანთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახონ. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისაკენ უნდა წარმართონ მათ ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის ყურადღება.

პარტიის რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით სისტემატურად უნდა მოეწყოს სემინარები მოწინავე გამოცდილების შესწავლისა და გავრცელების საკითხებზე, სოფლის მეურნეობის მუშაკთა შეხვედრები წარმოების ნოვატორებთან, ექსკურსიები მოწინავე მეურნეობებში. ამასთან აუცილებელია ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მთელი ეს მუშაობა უაღრესად კონკრეტულ ხასიათს ატარებდეს და თვალსაჩინო პრაქტიკულ შედეგებს იძლეოდეს.

პარტიის რაიკომებისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მოვალეობაა რეგულარულად განიხილონ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და გავრცელების საკითხები, უზრუნველყონ წარმოებაში ამ გამოცდილების პრაქტიკულად დანერგვა. მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და აგიტაციისათვის ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული პრესა და რადიო, კინო და თეატრი, ლექციები და მოხსენებები, აგიტატორთა საუბრები და თვალსაჩინო აგიტაციის მრავალფეროვანი საშუალებები, რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენები.

ამ საქმეში შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ და კიდევაც უნდა შეასრულონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიამ, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. მათ შეუძლიათ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაგალითზე პრაქტიკულად აჩვენონ, თუ რა შესანიშნავ შედეგებს იძლევა მოწინავეთა პროგრესული მეთოდებითა და ხერხებით მუშაობა.

მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდა და გავრცელება სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის, პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთ მთავარ და გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სწორად უხელმძღვანელონ სოფლის მეურნეობას, გულდასმით შეისწავლონ, განაზოგადონ და დანერგონ წარმოებაში მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები.

ქართული ოქრომჭედლობა



ოქროს ჭურჭელი, ნაპოვნი ჩხოროწყუში. XVI ს.



გამოსახულება გელათის მონასტრიდან. XI ს.

* * *

ქართველი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. ამ ხნის განმავლობაში მრავალი პრობლემა იქნა დაყენებული და გადაწყვეტილი. მიუხედავად ამისა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მეცნიერული ლიტერატურის ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო ოქრომჭედლობის ისტორიის დარგში. ამ საქმეში უაღრესად დიდი წვლილი შეიტანა აკად. გ. ჩუბინაშვილმა, რომელმაც ახლახან გამოსცა ქართული ოქრომჭედლობის ალბომი. ასე სრულად პირველად იქნა გამომზეურებული მსოფლიო მნიშვნელობის ის უნიკალური საგანძური, რომელიც დაცულია ჩვენს სხვადასხვა მუზეუმებში. დასავლეთ ევროპის არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია ფეოდალური ხანის ასეთი მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი ოქრომჭედლობის ძეგლები. ამიტომაც უფრო დასანანია, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ქართული ჭედური ხელოვნების ამ ნიმუშების გამოქვეყნება.

ქართულ ქანდაკებას რამდენიმე ათასი წლის წარსული აქვს. ძველი წელთაღრიცხვის ხელოვნების ძეგლები შედარებით კარგად არის ცნობილი არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით. თუ ამ მასალას თვალს გადავავლებთ, აშკარად დავინახავთ, ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულის დასაწყისიდან თანდათანობითს აღმავლობას რელიეფური და მრგვალი ქანდაკების განვითარებაში. ეს პროცესი ანტიკურ პერიოდში განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. აქ ჩვენ ვხედავთ ორნამენტთა და მცენარეთა გამოსახულებების გვერდით ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებს და, რაც მთავარია, ადამიანთა ფიგურებსაც (ლითონი, ქვა).

სკულპტურის განვითარების ეს ბუნებრივი პროცესი ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ ალბომის შესავალ ნარკვევში ვკითხულობთ: „ქრისტიანობამ დააჩქარა ეს ბუნებრივი პროცესი, მან უხეშად აიძულა, რომ ხელოვნების სხვადასხვა დარგებში ძირითადად სიუჟეტურ პროდუქციაზე გადასულიყვნენ“. პირველ ხანებში ოსტატები ამ პროცესს მოუმზადებლები შეხვდნენ და ხშირია უბრალო გადმოღების შემთხვევები, მაგრამ „ზოგიერთი კომპოზიციის გადამუშავებაში თავს იჩენს მშობლიური ხელოვნების დიდი დეკორატიული მიღწევები, რომლებიც ნებას აძლევდნენ დიდი მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულ ოსტატს სრულიად გარდაექმნა მოცემული კომპოზიცია“. ფესვმაგარმა ეროვნულმა ტრადიციებმა თავისი ნაყოფი უკვე V-VII საუკუნეების ხუროთმოძღვრული ძეგლების რელიეფებში გამოამჟღავნა. მიუხედავად პირობითობისა, მათში მაინც ჩანს სკულპტურული მიდგომა.

მომდევნო პერიოდი ქართულ პლასტიკაში გარდატეხის ეტაპია. ამ ხანის შესახებ ავტორი წერს: „VIII-IX საუკუნეებმა შეასრულეს ამ ნაძალადევად თავზე მოხვეული სიუჟეტური კომპოზიციების კოპირებისაგან გამომაჯანსაღებლის, გამწმენდის როლი. ამ ხანაში ფაქტიურად უარყვეს მიმბაძველობა, მის ნაცვლად გაჩნდა სიუჟეტური თემების სრულიად პირობითი გადმოცემა“.

ამასთან ერთად ავტორი ეხება ადრეფეოდალური პერიოდის ევროპის მოწინავე ქვეყნების ხელოვნებას, ავლებს პარალელს ამ ხელოვნებასა და ქართულ ხელოვნებას შორის, რაც ცხადად გვიჩვენებს ჩვენი ხელოვნების მაღალმხატვრულ დონეს.

ქართული ჭედური ხელოვნების ნიმუშები სწორედ ამ ეტაპიდან არის შერჩენილი. ამიტომაც ალბომში ნაჩვენებია ძეგლები მოკიდებული VIII-IX საუკუნეებიდან და დამთავრებული XVIII საუკუნით. ალბომი იხსნება აღნიშნული ეტაპის საუკეთესო ძეგლით, 886 წელს შესრულებული ზარზმის ფერისცვალების ხატით.

მომდევნო ეტაპი „უკვე გაწმენდილი იყო უცხო სკულპტურული კომპოზიციების მიმბაძველობისაგან (რასაც ქრისტიანული ეკლესია მოითხოვდა); X საუკუნის საქართველოში ისახება ნამდვილ სკულპტურულ გადაწყვეტათა ძიების პროცესი“.

ქართველ ოსტატთა რამდენიმე თაობა X საუკუნის მეორე ნახევრიდან ეუფლება გამოსახულების საიდუმლოებებს. რელიეფში ჩნდება სწორი პროპორციები, მოცულობითობა, მოძრაობის გააზრებული გადმოცემა; მოქანდაკენი მიზნად ისახავენ ნამდვილ სკულპტურულ-პლასტიკურ ამოცანათა ამოხსნას. ამ თვალსაზრისით, როგორც ნათლად გვიჩვენებს ავტორი, XI საუკუნე შეიძლება ჩაითვალოს ქართული ოქრომჭედლობისა და საერთოდ პლასტიკის უმაღლესი განვითარების ხანად. ევროპის ქვეყნებმა განვითარების ამ დონეს მხოლოდ ასიოდე წლის შემდეგ მიაღწიეს, ხოლო ბიზანტიამ ამ საფეხურს ვერასოდეს ვერ მიაღწია.

განსხვავებით ევროპისაგან, რომელმაც პროგ[illegible] ლოში წი[illegible] თანადო პ[illegible] კების გა[illegible] და. შემდ[illegible] X საუკუ[illegible] საუკუნის [illegible] ვერასოდე[illegible] ავტორი ა[illegible] სკულპტუ[illegible] ერთი მხრ[illegible] მი განვითარების შესაძლებლობა, მეორე მხრივ ოსტატებს ყურადღება გაამახვილებინა ჭედური ნაწარმოების დეკორატიულ-ორნამენტული მხარისადმი“.

ხატი (სვანეთი). ჩარჩოს დეტალი.

* * *

ავტორის მიერ ხაზგასმულია ქართველ ოქრომჭედელთა მიდრეკილება კოლორიტულობისადმი. ვერცხლისაგან ნაჭედი ნივთი ჩვეულებრივ მთლიანად ოქროთი იფარებოდა, მაგრამ ვხვდებით ისეთ მაგალითებსაც, როდესაც მოქანდაკე აფერადებს ცალკეულ ნაწილებს, რითაც ხდება ფიგურის ამა თუ იმ ნაწილის აქცენტირება.

ოსტატები ასევე მარჯვედ იყენებენ სევადს. მართალია, ამ ხერხს განვითარების სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულად მიმართავენ, მაგრამ წინასწარი გააზრება ყოველთვის ემჩნევა.

ქართველი ოსტატები ფერადოვნების ამ ხერხებს არ სჯერდებიან. ისინი ამასთან ერთად იყენებენ მინანქარს, ძვირფას თვლებს, მარგალიტს და სხვ.

აღმავალი პერიოდის საუკეთესო ნიმუშები ალბომში წარმოდგენილია 973 წელს შესრულებული იშხნის ჯვრით, ოსტატ ასათის მიერ ტაოს მფლობელ დავითისათვის შესრულებული საწინამძღვრო ჯვრით, ცაგერის ღვთისმშობლის ხატით, ბედიის ბარძიმით, შემოქმედის ფირფიტებით, გელათის „ტონდოთი“ და სხვა მრავალით.

განსაკუთრებით დიდი სიმდიდრე შემოგვინახა ოქრომჭედლობის დარგში სვანეთმა, რომელიც საერთოდ ძველი ქართული ხელოვნების ნამდვილ საგანძურს წარმოადგენს. კერძოდ, სვანეთში დაცული მრავალი ნიმუში სწორედ XI საუკუნეს მიეკუთვნება.

შემოქმედი. ჩარჩოს დეტალი. XI ს.

XII საუკუნეში, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანის ფიგურები ნატურალურ ზომებში გამოექანდაკებინათ, ხდება რეგრესი, იკარგება სკულპტურულობის ამოცანათა გაგება. ამიტომაც ვხვდებით რეტროსპექტიულ მოვლენებს. ამ დროის ნაწარმოებებზე სამართლიანად შენიშნავს ავტორი: „ცალკეული კომპოზიციის დეკორატიულ-ორნამენტულმა გადაწყვეტამ დაკარგა აგების უშუალობა და თავისუფლება; გაჩნდა მისწრაფება მათემატიკური სიზუსტით აგებული და ზედმეტად დატვირთული კომპოზიციებისადმი“. ამავე დროს გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ოქრომქანდაკებლებს წინანდებურად იზიდავს დეკორატიული გადაწყვეტა. ამ დროს ხშირად მიმართავენ ძვირფასი ლითონის ფერადოვნებას, მინანქარს, ფერად ქვებს, დეკორის მრავალფეროვნებაში ეძებენ გამოსავალს. ამ პერიოდის საუკეთესო ნაწარმოებებს წარმოადგენენ განთქმული ხახულის ღვთისმშობლის ხატი და ოპიზელი ოქრომქანდაკებლების ბეშქენისა და ბექას ნაწარმოებები. სამწუხაროდ, ამ დიდოსტატთა ნაწარმოებებიდან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმემ მოაღწია. ასეთებს წარმოადგენს ბეშქენის ნამუშევარი გელათში დაცული ბერთის სახარების ყდა და ბექას მიერ მოჭედილი წყაროსთავის სახარების ყდა. მოგვიანებით ბექას მიერვეა შესრულებული ე. წ. ანჩისხატის ჩარჩო. აქ აღნიშნული სიყვარული მორთულობისადმი შეიმჩნევა არა მარტო XII საუკუნის ოქრომჭედლობაში, არამედ ანალოგიური მდგომარეობაა ხუროთმოძღვრებაშიც.

საქართველოში XIII საუკუნეში დაწყებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დაქვეითებამ გამოძახილი ჰპოვა ოქრომჭედლობაშიც. ამ საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე XIX საუკუნემდე ოქრომქანდაკებლობის ისტორია ტალღისებურად ვითარდება, მაგრამ საერთო ხაზი აღმავალი კი არ არის, არამედ დაღმავალია. ეს გარემოება, ყველა მისი მიზეზი და შედეგი კარგად არის ნაჩვენები სარეცენზიო ნაშრომში.

ჭედურ ხელოვნებას ერთგვარი გამოცოცხლება ეტყობა XV საუკუნეში. ამ დროს შექმნილია ისეთი ნიმუშები, როგორიც არის ოქრომქანდაკებელ მამნეს მიერ შესრულებული სადგერის ჯვარი და სხვ. საინტერესო ნაწარმოებთა ჯგუფი მიეკუთვნება XVI საუკუნესაც (კახეთში შესრულებული ხატები და სხვ.). მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით ამდროინდელი ძეგლები ვერ შეედრება X-XII საუკუნეებისას. ამ პერიოდში, ავტორის თქმით, „პლასტიკის წინანდელი დენა ახლა უკვე აღარაა, მაგრამ ამ ჭედურ ხატებში აღარც თვით პლასტიკაა, არის მხოლოდ ნახატი, რომელიც ოდნავაა ამოწეული დაბალი რელიეფით“. მიუხედავად განვითარების ასეთი გზისა, ფეოდალური ხანის უკანასკნელ ნაწარმოებებშიც კარგად ჩანს ათასწლოვანი ხალხური ტრადიციები.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში დღემდე მოღწეულია 2.500 ცალზე მეტი. აკად. გ. ჩუბინაშვილის ოქრომჭედლობის ალბომის 200 ტაბულზე წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი ძეგლები. დიდი ფორმატის (50×60 სმ.) ტაბულებზე ოქრომჭედლობის ძეგლების უმრავლესობა ნაჩვენებია ნატურალურ ზომებში.

ალბომს დართული აქვს ანოტაციები და ტექსტი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, რაც ხელმისაწვდომს ხდის მას როგორც ჩვენი სამშობლოს მრავალეროვანი ხალხებისათვის, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების დაინტერესებულ პირთათვის.

აკად. გ. ჩუბინაშვილის ეს წიგნი მრავალი წლის სისტემატური მეცნიერული კვლევის შედეგია. ავტორის მიერ პირველად არის დადგენილი ქართული ხელოვნების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ისტორიული განვითარების მთლიანი სურათი, სტილისტიკური ევოლუციის ცალკეული საფეხურები.

აკად. გ. ჩუბინაშვილის ამ დიდი შრომის გამოცემა ჩვენი კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

დოცენტი პ. ზაქარაია,
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საქდესი). 15 საათზე ნიუ-იორკის დროით დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა. სხდომა მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირის თხოვნით, რომელმაც შეიტანა წინადადება მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია ლიბანიდან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებისა და იორდანიიდან ინგლისის ჯარების გაყვანის საკითხის განსახილველად.

გახსნა რა სხდომა, თავმჯდომარემ ჟორჟ-პიკომ (საფრანგეთი) გამოაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიაჩნია, რომ ერაყის რესპუბლიკის წარმომადგენლის ჰაშიმ ჯავადის რწმუნებანი სრულ წესრიგშია. ჯავადმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც განაცხადა, რომ ერაყის არმიის პატრიოტულ მოძრაობას, რომელსაც მხარი დაუჭირა მთელმა ხალხმა, მოჰყვა ერაყის რესპუბლიკის შექმნა. ამ მოძრაობის მიზანი იყო ერაყის განთავისუფლება რეაქციის ბატონობისაგან. რესპუბლიკის მთავრობას, თქვა მან, განზრახული აქვს დაიცვას თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, დაიცვას და განავითაროს მეგობრული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსთან.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა მიეცა სსრ კავშირის წარმომადგენელს ა. ა. სობოლევს.

ა. ა. სობოლევმა აღნიშნა, რომ უშიშროების საბჭო, მისი ახლანდელი შემადგენლობის გამო, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების იმ პოლიტიკის გამო, რომლითაც პარალიზებულია საბჭოს, როგორც მშვიდობის ინსტრუმენტის, მოქმედება, უუნარო აღმოჩნდა მიეღო ღონისძიებანი იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს აგრესია და გაყვანილ იქნენ ამერიკისა და ინგლისის ჯარები ლიბანიდან და იორდანიიდან. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი განაგრძობდნენ თავიანთი ჯარების გადაყვანას და, ამრიგად, თავიანთი აგრესიის მასშტაბის გაფართოებას მაშინაც კი, როცა უშიშროების საბჭო იხილავდა არაბულ აღმოსავლეთში კონფლიქტის გაფართოების თავიდან აცილების საკითხს.

ამ პირობებში, თქვა ა. ა. სობოლევმა, სსრ კავშირის მთავრობამ მოითხოვა სასწრაფოდ მოწვეულიყო ხუთი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მონაწილეობით, რათა მან დაუყოვნებლივ მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი არაბული აღმოსავლეთის რაიონში დაწყებული სამხედრო კონფლიქტის შეწყვეტისათვის, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა, უგულებელყვეს რა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნები, არსებითად ჩაფუშეს ასეთი თათბირის მოწვევა და ამით იკისრეს მძიმე პასუხისმგებლობა მსოფლიოს ხალხთა წინაშე.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის აგრესიული მოქმედება ახლო აღმოსავლეთში გრძელდება. ჩქმალავენ რა საკითხს ლაპარაკით ლიბანიდან და იორდანიიდან თავიანთი ჯარების მომავალი გაყვანის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი სინამდვილეში განაგრძობენ თავიანთი ჯარების ახალი კონტინგენტების გადაყვანას ამ ქვეყნებში. ბაღდადის პაქტის ქვეყნებში განხორციელებულია ახალი სამხედრო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოამზადონ ბაზა არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის გაფართოებისათვის. იზრდება იმ შეიარაღებული ძალების რაოდენობა, რომლებიც განლაგებული არიან ამ რაიონში ამერიკისა და ინგლისის ბაზებში. ამჟამად ახლო აღმოსავლეთის რაიონში ან მის ახლოს თავმოყრილია 70 ათასი ჯარისკაცი. ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის საავიაციო ბაზებში და ავიანოსნებზე არის ათასი თვითმფრინავი. ამ სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალებს ამ რაიონში აქვთ 120 სამხედრო და სადესანტო ხომალდი.

ამრიგად, განაგრძო ა. ა. სობოლევმა, მსოფლიო ჯერაც არ გათავისუფლებულა ახლო და შუა აღმოსავლეთში კონფლიქტის გამწვავების საფრთხისაგან. და ამან, ბუნებრივია, არ შეიძლება არ შეაშფოთოს ყველა, ვინც დაინტერესებულია იმით, რომ შეწყდეს უცხოეთის ჩარევა არაბთა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ცხადყო მთელი უსუსურობა ცდებისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის აგრესია გაამართლონ ერაყის შინაური ამბებით, აგრეთვე მოგონილი საფრთხის დამოწმებით, რაც ლიბანს თითქოს მოელის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ, და ეგრეთწოდებული „არაპირდაპირი აგრესიის“ დამოწმებით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყის რესპუბლიკის წინააღმდეგ ობსტრუქციების ტაქტიკა მთლიანად ჩაფუშა და თვით შეერთებული შტატები და ინგლისი იძულებული გახდნენ ეცნოთ ერაყის ახალი მთავრობა.

ხალხთა მოთხოვნამ და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა მტკიცე გადაწყვეტილებამ ბოლო მოუღონ აგრესიას ახლო აღმოსავლეთში, თქვა ა. ა. სობოლევმა, აიძულა შეიარაღებული ინტერვენციის ინიციატორები თავი შეეკავებინათ ამ ეტაპზე აგრესიის გავრცელებისაგან სხვა ქვეყნებზე, პირველ რიგში — ერაყის რესპუბლიკასა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაზე. მაგრამ, დასძინა მან, დასავლეთის სახელმწიფოების მიერ ერაყის რესპუბლიკის ფორმალური ცნობა არ ნიშნავს, რომ ამ რაიონში კონფლიქტის გაფართოებისა და გამწვავების საფრთხე ამჟამად მთლიანად იყოს აღკვეთილი, ხოლო ერაყისა და არაბთა სხვა სახელმწიფოების უშიშროება უზრუნველყოფილი.

ახლო და შუა აღმოსავლეთში შეიარაღებული ინტერვენციის სრული შეწყვეტისა და იქ ისეთი პირობების შექმნის საკითხი, რომლებიც თავიდან აიცილებდნენ ამ რაიონის ხალხებს უცხოეთის ჩარევას, კვლავ მოითხოვს უსწრაფეს გადაჭრას.

უცხოეთის ჯარები გაყვანილ უნდა იქნენ იორდანიიდან და ლიბანიდან, და გაყვანილი დაუყოვნებლივ! მათი იქ ყოფნა მუდმივი საფრთხეა ხალხთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობისათვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აღმაშფოთებელი დარღვევაა, რასაც ვერ შეურიგდებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები.

თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, განაგრძო ა. ა. სობოლევმა, ამ კრიზისულ მომენტში არ მიიღებს ჯეროვან ღონისძიებებს და ამით შემდგომ დაუთმობს აგრესორებს, იგი სამუდამოდ დაკარგავს ავტორიტეტსა და ნდობას ხალხების თვალში, ხოლო კაცობრიობას შეიძლება თავს დაატყდეს ახალი მსოფლიო ომი.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა მოითხოვა სასწრაფოდ მოწვეულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია და შეიტანა საბჭოთა რეზოლუციის პროექტი. პროექტში ნათქვამია:

„უშიშროების საბჭო, განიხილა რა ახლო და შუა აღმოსავლეთში იმის შედეგად შექმნილი მდგომარეობა, რომ ლიბანში შეყვანილია ამერიკის შეიარაღებული ძალები, ხოლო იორდანიაში ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები, მხედველობაში მიიღო რა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ეს მოქმედება საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას, აღნიშნა რა, რომ უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო შეესრულებინა თავისი მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის,

ადგენს მოიწვიოს გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია იმ საკითხის განსახილველად, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები ლიბანიდან და დიდმა ბრიტანეთმა გაიყვანოს ჯარები იორდანიიდან“.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ლოჯი, რომელმაც მიმართა ძველ ოინებს, რათა გაემართლებინა ამერიკის აგრესია ლიბანში. მან კვლავ გაიმეორა მონაჭორი „ლიბანის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი საფრთხისა“ და „არაპირდაპირი აგრესიის“ შესახებ, თუმცა ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა დასკვნები დამაჯერებლად აბათილებენ ამ მონაჭორს. ლოჯი აგრეთვე ამაოდ ცდილობდა საბჭოთა კავშირისათვის გადაებრალებინა ის, რომ თათბირი უმაღლეს დონეზე კვლავ ჭიანურდება. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტი მიუღებელია ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, რადგან პუნქტი, რომელსაც იგი შეიცავს ლიბანიდან ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, მისი სიტყვით, „არაკონსტრუქციულია“.

გრძელდება ამერიკის ჯარების გადასხმა ლიბანში

ბეირუთი, 7 აგვისტო. (საქდესი). განვლილი დღეღამის მანძილზე ამერიკის სამხედრო სარდლობამ გააფართოვა ლიბანში ჯარების გადმოსხმისა და საბრძოლო ტექნიკისა და საჭურვლის გადმოტვირთვის ოპერაციები. გუშინ საღამოს ლიბანის სანაპიროსთან იყო 23 სამხედრო ხომალდი, მათ შორის 15 სატრანსპორტო. ღამით წარმოებდა ამ ტრანსპორტების განტვირთვა ბეირუთის ნავსადგურში, ანტელიასში და ბეირუთის სამხრეთით.

გუშინ ბეირუთში გადმოტვირთეს გზებისა და აეროდრომების მშენებლობის საინჟინრო-სასანგრო ნაწილი. დღეს დილით ლიბანის სანაპიროსთან იყო ამერიკის 8 სამხედრო ხომალდი და ტრანსპორტი.

გაზეთ „ტელეგრაფის“ ცნობებით, ამერიკის სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გუშინ ამერიკის ავიანოსნიდან აფრენისას, რომელიც ლიბანის წყლებშია, ზღვაში ჩავარდა რეაქტიული თვითმფრინავი. თვითმფრინავი ჩაიძირა ეკიპაჟთან ერთად.

გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მოწვევა

ნიუ-იორკი, 8 აგვისტო. (საქდესი). გუშინ საღამოს გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევის საკითხი. საბჭომ ერთხმად დაადგინა მოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესია.

უშიშროების საბჭოს სხდომის დასასრულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ჰამარშელდმა განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეა შეიკრიბება 8 აგვისტოს 17 საათზე ნიუ-იორკის დროით. (24 საათზე მოსკოვის დროით).

ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე დასმულია ძნელი პრობლემები

უოლტერ ლიპმანის სტატია

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საქდესი). კომენტარს უკეთებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ საგანგებო სესიას, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მიმომხილველი ლიპმანი მოუწოდებს შეერთებულ შტატებს დაიწყონ თავიანთი შეიარაღებული ძალების გამოყვანა ლიბანიდან, სანამ სესია დაიწყებოდეს, და აცხადებს, რომ საჭიროა გამოინახოს, რალაც საშუალება იორდანიიდან უახლოეს დროში ინგლისის ჯარების გამოყვანისათვის.

ლიპმანი წერს: „თათბირი უმაღლეს დონეზე, რომელიც ჩვენ არასოდეს არ გვინდოდა, ამ მომენტში თავიდან ავიცილეთ, და ამის ნაცვლად ჩვენ დავთანხმდით მწვავე და ძნელ სიტყვიერ ბრძოლაზე.

ჩვენს წინაშეა პრობლემა, რომელიც გამოიხატება იმით, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან გენერალური ასამბლეის ამ სესიის გადაქცევა ინგლისელებისა და ამერიკელების საჯარო გასამართლებად მათი სამხედრო ინტერვენციისათვის ლიბანსა და იორდანიაში“. ამასთან დაკავშირებით ლიპმანი იძლევა გაფრთხილებას, რომ „უგუნურება იქნება ძალიან დიდი იმედი დავამყაროთ“ ამერიკული არგუმენტების ლოგიკაზე და ლოჯის, დალესის, ან თუნდაც პრეზიდენტ ეიზენჰაუერის „მჭევრმეტყველებაზე“.

„გენერალურ ასამბლეაზე, — აცხადებს ლიპმანი, — ჩვენ არა გვაქვს საჭირო უმრავლესობა ჩვენს სასარგებლოდ. ჩვენ არ გვექნება არც ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში ხმების საჭირო ორი მესამედი, თუნდაც, რომ მოვახერხოთ ამერიკის ყველა რესპუბლიკის, დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნისა და ერთა თანამეგობრობის ძველი სახელმწიფოების — ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, კანადის, აგრეთვე აზიის იმ სახელმწიფოების მიმხრობა, რომლებიც ჩვენი კლიენტები არიან.

გენერალური ასამბლეა მისი ახლანდელი შემადგენლობით მეტად არახელსაყრელი ფორუმია იმისათვის, რომ გაამართლოს ინგლისისა და ამერიკის შეიარაღებული ძალების ინტერვენცია აზიის ორ ქვეყანაში“.

„საჭიროა უწინარეს ყოვლისა“, — იძლევა რჩევას ლიპმანი, — „შევწყვიტოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ოდენობისა და ძლიერების გადიდება ლიბანში და ამის ნაცვლად დავიწყოთ მათი შემცირება. ლიბანის ახლახან არჩეული პრეზიდენტი აპირებს გვთხოვოს წავიდეთ ლიბანიდან, და გონივრული იქნებოდა წასვლა დაგვეწყო მანამდე, სანამ გამოგვისტუმრებენ. ჩვენ არ გვჭირია 15 ათასიანი ჯარი შამუნის დასაცავად რამდენიმე კვირის განმავლობაში, სანამ მას აქვს კანონიერი უფლება დარჩეს თავის პოსტზე. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა გამოგვეყენებინა ჩვენი დიპლომატიური გავლენა ბეირუთში, რათა დაგვერწმუნებინა შამუნი ახლავე დატოვოს ლიბანი და წავიდეს შვებულებაში საზღვარგარეთ. მაშინ ჩვენ შევძლებთ გავცეთ ბრძანება მთელი ჩვენი ჯარების გაყვანის შესახებ, სანამ გენერალური ასამბლეა შეიკრიბებოდეს.

იორდანიიდან ინგლისელების გაყვანის პრობლემა გაცილებით უფრო ძნელია. მაგრამ თითქმის არავითარი ეჭვი არ არის, რომ საჭიროა გამოინახოს იქედან მათი გაყვანის მეთოდი. ამანში გადასხმული 2.000 პარაშუტისტი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მკვლელობისაგან დაიცვან მეფე, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ გადააქცევენ იორდანიას სიცოცხლისუნარიან და დამოუკიდებელ სამეფოდ. ადრე თუ გვიან, მაგრამ არც თუ ისე გვიან, პარაშუტისტებსა და მეფეს მოუხდებათ ამ ქვეყნის დატოვება, და იორდანია როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო გაქრება.

სერიოზული საკითხია, საჭიროა თუ არა იორდანია გადავაქციოთ ერთგვარ ნეიტრალიზებულ ტერიტორიად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მფარველობით, ან იგი დანაწილებული იქნება ძალით, რაც შეიცავს რისკს, რომ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკასა და ისრაელს შორის ატყდება ომი“.

ლიპმანის აზრით, ეს საკითხი „საჭიროა განხილულ იქნეს კონფიდენციალური წესით და მეტად სერიოზულად უმაღლესი დონის თათბირზე“, რადგან „იორდანიაში, თუმცა ეს არავის სურს, არის ომის მეტად რეალური საფრთხე“.

უცხოეთის ჯარებმა უნდა დატოვონ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები

ჯავაჰარლალ ნერუს პრესკონფერენცია

დელი, 7 აგვისტო. (საქდესი). დღეს დელში გამართულ პრესკონფერენციაზე ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუ შეეხო თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებს.

ნერუმ განაცხადა, რომ ამჟამად მას არა აქვს განზრახული დაესწროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ საგანგებო სესიას. მაგრამ ინდოეთის წარმომადგენელი, თქვა მან, ცხადია, მონაწილეობას მიიღებს მის მუშაობაში.

ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ უნდა უზრუნველყოს უცხოეთის ჯარების გაყვანა ახლო და შუა აღმოსავლეთიდან და ერაყის, ლიბანისა და იორდანიის საქმეებში ჩაურევლობა მომავალში.

შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, ნერუმ აღნიშნა, რომ უკანასკნელი 2-3 კვირის განმავლობაში ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით მსოფლიო ომთან. ჩვენ თავიდან ავიცილეთ იგი, თქვა ნერუმ. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი საშიში მდგომარეობა შეიძლება განმეორდეს. ცივი ომით გამოწვეული შიშის ატმოსფერო იმდენად ძლიერია, აღნიშნა მან, რომ ყოველი ქვეყანა მუდამ ფხიზლად უნდა იყოს. ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა ისეთი მდგომარეობის საშიშროება, რომელსაც მუდამ შეუძლია ინციდენტების გამოწვევა.

შეეხო რა ინდოეთის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის კრიზისში, ნერუმ განაცხადა: ინდოეთს სურს, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს შეეძლოთ იცხოვრონ თავიანთი ცხოვრებით გარედან ჩაურევლადო. უცხოეთის ჯარებმა, განაცხადა ნერუმ, უნდა დატოვონ ეს ქვეყნები, და ახალი ჯარები არ უნდა იქნენ შეყვანილი ამ ქვეყნებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებიც კი, რამდენადაც ეს აუცილებლად გამოიწვევს ამ ქვეყნების ხალხთა უკმაყოფილებას.

უპასუხა რა კითხვებზე ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ნერუმ აღნიშნა, რომ იგი დიდი ხანია იწვევს დიდი ომის შესაძლებლობის საფრთხეს. ჩვენ გვსურს, თქვა მან, ხელი შევუწყოთ დაძაბულობის შენელებას და არა მის გაძლიერებას. ნერუმ მკაცრად გააკრიტიკა ბაღდადის პაქტი, რომელმაც, როგორც მან თქვა, გამოიწვია ცივი ომი არაბთა ქვეყნებს შორის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბაღდადის პაქტს უშიშროების უზრუნველყოფის ნაცვლად, რისთვისაც იგი იყო განკუთვნილი, მოჰყვა სრულიად საწინააღმდეგო შედეგი. ამასთან დაკავშირებით ნერუმ აღნიშნა, რომ სანამ ბაღდადის პაქტი არსებობს, იგი ძირს გამოუთხრის სწორედ იმ პოლიტიკას, რომელიც მას უნდა უზრუნველეყო.

ნერუმ უპასუხა აგრეთვე მთელ რიგ კითხვებზე ინდოეთის საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა უნდა შეწყვიტონ აგრესია ახლო და შუა აღმოსავლეთში

კაირო, 7 აგვისტო. (საქდესი). აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოს მუდმივმა სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დაგმობილია ამერიკის ჯარების გადასხმა ლიბანში, რაც კვლავ გრძელდება. ამერიკის შეერთებული შტატების ეს აგრესიული მოქმედება, ნათქვამია განცხადებაში, არაბი ხალხების მზარდ სიძულვილს იწვევს, რომლებსაც ამერიკის ჯარების გადაყვანა და იარაღის გადაზიდვა ლიბანში მიაჩნიათ ახალი აგრესიის მომზადებად არაბი ხალხების წინააღმდეგ.

განცხადებაში გამოთქმულია მოთხოვნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა შეწყვიტონ აგრესიული მოქმედება შუა აღმოსავლეთში, რომელიც საყოველთაო მშვიდობას ემუქრება.

სამდივნო მოუწოდებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ეროვნულ კომიტეტებს მოაწყონ საპროტესტო მიტინგები ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვონ ამერიკისა და ინგლისის ჯარების გაყვანა ლიბანიდან და იორდანიიდან.

ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის კასემის განცხადება

ბაღდადი, 7 აგვისტო. (საქდესი). გაზეთი „ალ-აჰბარი“ ათავსებს ერაყის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის კასემის განცხადებას, რომელიც მან გაუკეთა პრესის წარმომადგენლებს ბაღდადის პაქტის გამო.

ერაყის მთავრობა, ნათქვამია ამ განცხადებაში, სწავლობს საკითხს ერაყის პოზიციის შესახებ ბაღდადის პაქტის მიმართ, ეყრდნობა რა იმ პრინციპს, რომ სხვა ქვეყნებთან მეგობრობა ყოველგვარ ხელშეკრულებაზე ან პაქტზე მნიშვნელოვანია. ერაყი დამოუკიდებელი ქვეყანაა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ყველა ქვეყანა და არა მარტო ბაღდადის პაქტის მონაწილე ქვეყნები უნდა იდგნენ ერაყის დამოუკიდებლობის საგუშაგოზე.

დასასრულ კასემმა ხაზგასმით აღნიშნა ერაყის რესპუბლიკის ერთგულება მშვიდობის საქმისა და დემოკრატიის პრინციპებისადმი.

ამერიკელი კორესპონდენტი იორდანიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 7 აგვისტო. (საქდესი). ამერიკული ჟურნალის „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტისათვის“ განკუთვნილ ცნობაში, რომელიც დაწერილია ამანში ყოფნის შემდეგ, მაგრამ გადმოცემულია არა იორდანიიდან, რათა თავიდან აეცილებინათ ცენზურა, ჟურნალის კორესპონდენტი ჯონ ლოუ წერს, რომ „ამ უკანასკნელ დღეებში მეფე ჰუსეინი უფრო ნაკლებ მტკიცედ გრძნობს თავს, ვიდრე ოდესმე მას შემდეგ, რაც იგი ტახტზე ავიდა... იორდანიაში მკაცრი სამხედრო წესებია... ჰუსეინისადმი მტრულად განწყობილი ასობით ადამიანი საპატიმროშია. მათ შორის ვის არ შეხვდებით, დაწყებული ყოფილი პრემიერ-მინისტრებით და გათავებული შიკრიკებით, რომლებიც დააკავეს მთავრობის საწინააღმდეგო ფურცლების გავრცელების დროს“.

აღნიშნავს რა, რომ „შიში არმიის არასაკმაო ლოიალობის გამო მთავარი მოტივი იყო, რომელმაც აიძულა ჰუსეინი დასახმარებლად მოეწვია უცხოეთის ჯარები“, კორესპონდენტი დასკვნის: „ნაკლებ მოსალოდნელია, რომ გადატრიალება წარმატებით დამთავრდეს სანამ იორდანიაში არიან ინგლისელები, მაგრამ ჰუსეინს მიაჩნია, რომ როდესაც ისინი წავლენ, ალბათ, დაიწყება უსიამოვნო ამბები“. დასავლეთის ბევრი წარმომადგენელი ამავე აზრისაა. ერთმა მათგანმა ამ დღეებში განაცხადა: „მე, უეჭველია, არ ვისურვებდი აქ, ამანში ყოფნას ინგლისელების წასვლის მეორე დღეს“.

ფაშისტური ელემენტების პროვოკაციები საფრანგეთში

პარიზი, 7 აგვისტო. (საქდესი). საფრანგეთში გრძელდება ფაშისტური პროვოკაციები დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ. გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, გუშინ დილით ლიონში საფრანგეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ადგილობრივი ორგანიზაციის სადგომში აფეთქდა ბომბი. აფეთქებამ დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა შენობას.

კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნთა ილუსტრაციების გამოფენა, მიძღვნილი ჩვენი დედაქალაქის 1500 წლისთავისადმი.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ს პ ო რ ტ ი ს ა მ ბ ე ბ ი

საზონათაშორისო ტურნირი

იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ პორტოროჟში გრძელდება საზონათაშორისო ტურნირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთა მონაწილეობით.

მეორე ტურში სსრ კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი ტალი შეხვდა უნგრეთის გროსმაისტერს საბოს. საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეჯიბრების დასკვნით ნაწილში ინიციატივა ხელთ იგდო საბჭოთა მოჭადრაკემ, ძლიერი იერიში განახორციელა მოწინააღმდეგის მეფეზე და მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა გროსმაისტერ ბრონშტეინის და ბულგარეთის ჩემპიონის ნეიკირხის პარტია. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა გლიგორიჩ (იუგოსლავია) — ავერბახისა და დეგრეიფ (კოლუმბია) — პეტროსიანის პარტიები. ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მოჭადრაკემ ფიშერმა (ამერიკის შეერთებული შტატები) დაამარცხა ფიუშტერი (კანადა).

ორი ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერი გახდა საბჭოთა გროსმაისტერი ტალი, რომელსაც 2 ქულა აქვს.

მოსწავლე მოჭადრაკეთა შეხვედრები

ლენინგრადში გრძელდება მოსწავლე მოჭადრაკეთა საკავშირო გუნდური ასპარეზობა.

მეორე ტურში საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდნენ უზბეკეთის გუნდს. ამ შეჯიბრებაში დამთავრდა 8 პარტია. ანგარიშია 6:2 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. უკრაინელმა მოჭადრაკეებმა წარმატებით ჩაატარეს შეჯიბრება რსფსრ გუნდთან და გაიმარჯვეს 7,5:1,5 (3 პარტია გადადებულია).

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: მოსკოვი-ლიტვა 6:1 (5 პარტია გადადებულია), ესტონეთი - აზერბაიჯანი 6:0 (6 პარტია გადადებულია), ლენინგრადი-ლატვია 3,5:1,5 (7 პარტია გადადებულია).

მესამე ტური ხასიათდებოდა შეუპოვარი ბრძოლით. საქართველოს მოჭადრაკეთა კოლექტივი კვლავ წარმატებით გამოდის. ამჯერად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 6 პარტია მოუგეს ლიტვის გუნდს, ხოლო დანარჩენი პარტიები მეტწილად თავიანთი უპირატესობით გადადეს.

სხვა გუნდებმა ასპარეზობა ასეთი შედეგებით დაამთავრეს: ესტონეთი-უზბეკეთი 7,5:1,5 (3 პარტია გადაიდო), მოსკოვი-უკრაინა 3,5:2,5 (6 პარტია გადაიდო), ლატვია-რსფსრ 5:4 (3 პარტია გადაიდო), ლენინგრადი-აზერბაიჯანი 8:2 (2 პარტია გადაიდო).

გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ, რომელიც 7 აგვისტოს გაიმართა, გუნდების მდგომარეობა ასეთია: პირველობის გათამაშების ლიდერია საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა კოლექტივი, რომელსაც 24,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

XX ჩემპიონატის ლიდერი მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდი მორიგ მატჩში შეხვდა სტალინოს „შახტიორს“. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

დღეისათვის პირველობის გათამაშების ლიდერია მოსკოვის „სპარტაკი“, რომელსაც 14 თამაშიდან 22 ქულა აქვს.

• • •

7 აგვისტოს მოსკოვში სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ 35 წლისთავის აღსანიშნავი სპარტაკიადის საზეიმო გახსნის შემდეგ გაიმართა მატჩი ფეხბურთში დედაქალაქის და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2:2.

„ბ“ კლასი

7 აგვისტოს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის IV ზონის გუნდების მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკისა“ და მახაჩკალის „ტემპის“ გუნდები. გაიმარჯვეს თბილისელებმა 4:2.

რედაქტორი პ. რატიანი.

საბჭოთა ვაჭრობის ბათუმის ტექნიკუმის თბილისის დაუსწრებელი განყოფილება აცხადებს 1958-59 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას ქართული და რუსული სექტორის პირველ და მესამე კურსებზე.

ტექნიკუმის დაუსწრებელი განყოფილება ამზადებს საბჭოთა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეებს, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეებს, საზოგადოებრივი კვების ტექნოლოგებს.

სწავლის ხანგრძლივობა საქონელმცოდნეთათვის 4 წელია, ტექნოლოგებისათვის — 5 წელი. ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა ვაჭრობისა და საზკვების ორგანიზაციებსა და საწარმოებში, წლოვანების განუსაზღვრელად. სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მომუშავენი მიიღებიან იმ შემთხვევაში, თუ მუშაობენ იმ სპეციალობაზე, რომელზეც შემოტანილი აქვთ განცხადება.

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს სსრ კავშირის უმაღლესი სკოლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი), რუსულ ენაში (შემოწმებითი გამოცდა).

მესამე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამით შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), მათემატიკაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენაში (შემოწმებითი გამოცდა).

პირველ კურსზე უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა ფრიადზე, ხოლო მესამე კურსზე, — რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით.

ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება არჩეული სპეციალობის ჩვენებით, განათლების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამსახურის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ფოტოსურათი (ზომით 3X4 სმ). განცხადება თანდართული საბუთებით წარმოდგენილ უნდა იქნას ტექნიკუმის კანცელარიაში (თბილისი, საბურთალო, პავლოვის ქ. № 2) 20 აგვისტომდე.

კონსულტაციები მისაღები გამოცდებისათვის დაიწყება 11 აგვისტოს. მისაღები გამოცდები 21 აგვისტოს დილის 9 საათიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება დაუსწრებელი განყოფილების კანცელარიაში ყოველდღე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე გარდა კვირადღისა.

ხობის მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა საგანგებო კრების 1958 წლის 18 ივლისის დადგენილებით ხდება **ხობის მუშათა კოოპერატივის ლიკვიდაცია.** იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებსაც ხობის მუშათა კოოპერატივთან რაიმე პრეტენზია აქვთ, უნდა მიმართონ ლიკვიდკომს ა. წ. 18 აგვისტომდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.

მისამართი: სოფ. ნოჯიხევი, ხობის რაიონი, ხობის მუშათა კოოპერატივის ლიკვიდკომი.

დ ღ ე ს

საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — თეთრი აკაცია (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის — მისტერ იქსი, **ამირანი** (საზამთრო), **იხანი** (საზაფხულო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი** — ივანე მრისხანე, **ამირანი** (საზაფხულო) — მეტოქენი, **ოქტომბერი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **იხანი** (საზამთრო), **სპარტაკი** — 1918 წელი (დები II სერია), **ფილარმონიის ბაღი** — მექსიკის სერენადა, **თბილისი** — მერძევე ჰილია, **კომკავშირელი, დიდუბე** (საზამთრო), **ყაზბეგი** — მხიარული ახალგაზრდობა, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — მეგობრობის დღესასწაული მოსკოვში, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — პირადად ცნობილია, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — სამსახური, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო) — სიყვარული და ცრემლები, **საქართველო** (საზაფხულო) — დავით გურამიშვილი, **კოლხიდა** (საზაფხულო) — დამსხვრეული ოცნებანი, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — გიორგი სააკაძე (I და II სერია), **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **კომუნარების ბაღი** — ძალად მძღოლი, **ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — არაჩვეულებრივი კარიერა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — პოე გალეა ცეცხლში, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოს — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20 43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და მასების მიმოწერის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროს — 3-73-24, ხაილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 03760 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 2